ლელო
№ 41
(11 190)
27 – 29 მაისი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ბათუმი — საქართველოს თასის ახალი დედაქალაქი!

## ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა პირველად მოიპოვა ეროვნული თასი ფეხბურთში! ვულოცავთ!



ყოველი ფეხბურთელის კარიერაში ხდება მოვლენები, რომლებიც შემდგომში გამორჩეულად ამახსოვრდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 23 წლის დავით ჭიჭვეიშვილისთვის და, საერთოდ, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის ასეთად სამუდამოდ დარჩება მის მიერ გატანილი „ოქროს გოლი", რომელმაც საქართველოს თასის მერვე გათამაშებაში გამარჯვება ბათუმის დინამოელებს მოუტანა. მიმდინარეობდა შეხვედრის 118-ე წუთი, გულშემატკივრები უკვე პენალტების სერიის საცქერლად განეწყვნენ, და... ამ დროს შოთა ჭეიშვილის შეგირდი, მარჯვენა ფრთიდან, მკვირცხლად შეიჭრა თბილისელთა საჯარიმო მოედანში და მოჭრილი დარტყმით ზოიძისგან მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი...

26 მაისი. საქართველოს თასის ფინალი: „დინამო" (თბილისი) – „დინამო" (ბათუმი) 1-2 (ძირითადი დრო 1-1).

*დინამო (თბ.):* ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, მუჯირი, ჯელაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, ა. სახვაძე.

*დინამო (ბთ.):* ტოგონიძე, ი. მახარაძე (ღლონტი, 46), მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი (მაქაცარია, 87), მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, სოლოღაშვილი.

*გოლები:* 0-1 კანტიძე (16), 1-1 ალექსიძე (35), 1-2 ჭიჭვეიშვილი (118).

*გააფრთხილეს:* ლობჟანიძე, ჯელაძე, მ. მახარაძე, სოლოღაშვილი.

*გააძევეს:* ჯელაძე (60 წთ.)

*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

მოლოდინისამებრ, მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. მან ნათლად დაგვანახა, რომ დღეს საქართველოში, უკვე ორი გამორჩეული გუნდი გვყავს და ის, რომ გამარჯვება აჭარელ ფეხბურთელებს ერგოთ, სრულებით კანონზომიერად მიგვაჩნია – ამ დღისთვის ბათუმელებმა უფრო მომზადებული, მიზანმიმართული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. ბიჭებმა ძალიან მოინდომეს, შოთა ჭეიშვილის მიერ დაგებული „მახეები" ზუსტად აამუშავეს და შედეგიც მოიმკეს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბათუმელთა თამაში უნაკლო იყო. პირველ ტაიმში გატანილი ბურთის შემდეგ მათ ყურადღება მოადუნეს, ნახევამცველები დაცვაში „ჩაჯდნენ" და სათამაშო უპირატესობა დათმეს. თბილისელებმა ამით კარგად ისარგებლეს და კანტიძის მიერ შორიდან ზოიძის კარში გატანილი გოლი, როგორც იქნა, გაქვითეს. ეს მას შემდეგ, რაც ბურთი ხუთნუთიან მონაკვეთში ორჯერ მოხვდა ტოგონიძის კარის ძელს (ზუსტად ერთი და იგივე ადგილას!) ბოლოს კი აშვეთიას და ალექსიძის მცდელობით ლამაზი გოლი გავიდა.



მეორე ტაიმიც, პირველის დარად, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მეტოქეები, უპირველესად, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ და შეტევებს მხოლოდ საფუძვლიანი მომზადების შემდეგ ახორციელებდნენ.

და აი, დადგა თბილისელთათვის საბედისწერო – მე-60 წუთი. მოედნის ცენტრში მაჭუტაძის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა ჯელაძემ და რადგან იგი გაფრთხილებული იყო, მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. უნდა ითქვას, რომ თანაბარი ძალის გუნდების პაექრობაში კაცნაკლულად თამაში ადვილი საქმე არაა. თბილისელთა სასახელოდ აღვნიშნავთ, რომ მათ თითქმის ერთი საათი ღირსეულად იბრძოლეს და საპენალტო სერიამდე სულ რაღაც 5 წუთი არ ეყოთ. იქ კიდევ, პენალტების დროს, ჩვენი ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს შეეძლო წარმატებაზე ფიქრი. მაგრამ...

მაშ ასე, ბათუმელებმა ღირსეულად გაიმარჯვეს და საქართველოს თასს დაეპატრონნენ. გავა ორიოდე თვე და დღევანდელი მეტოქეები საქართველოს ღირსებას დაიცავენ ევროპის საკლუბო ტურნირებში. ამ პრესტიჟული შეჯიბრებისათვის აქედანვე უნდა დავიწყოთ მზადება. განვლილმა მატჩმა ჩვენი გუნდების თამაშში ბევრი სუსტი მხარე გამოავლინა. პირველ რიგში, ეს თბილისელებზე ითქმის – ნათლად წარმოჩნდა, რომ ჩემპიონს ძალიან მოკლე სათადარიგოთა სკამი გააჩნია. მას შემდეგ, რაც გუნდიდან რეჟიმის დარღვევისათვის გაუშვეს პეტრიაშვილი და წიტაიშვილი, „დინამოს" სარეზერვო ფეხბურთელები თითქოსდა აღარ დარჩა – თუ ასე არ არის, რით ავხსნათ, რომ სარეცენზიო მატჩში თბილისელები 10 ფეხბურთელით იბრძოდნენ და მწვრთნელებმა ერთი შეცვლაც არ მოახდინეს. როგორც ეტყობა, კლუბის ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანა ახლა სწორედ გუნდის სათანადოდ დაკომპლექტება იქნება...

**ჯემალ ჭიკაშვილი**

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები*



როგორც ვიტყობინებოდით („ლელო" №38), საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ორი მეზობელი ქვეყნის სპორტულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს მოაწყონ მძლეოსნური გადარბენა მარშრუტით თბილისი – ბაქო. ღონისძიების მონაწილეები, 26 მაისს, ერთობლივად გაუდგნენ გზას. გადარბენა, 28 მაისს, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეს, დამთავრდება ბაქოში.

---

ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირი

# ელდარ კურტანიძე ყველგან უძლეველია



ელდარ კურტანიძე



ხვიჩა ბიჩინაშვილი

თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში „A" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს ტაშკენტი ტრადიციულად ერთდროულად მასპინძლობს. მონაწილენიც მუდამ მრავლად იკრიბებიან ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაზე. ასე იყო ამჯერადაც. საქართველოს წარმომადგენლებს კი კვლავ მიიჩნევენ ასეთ ასპარეზობათა მშვენებად და ანგარიშგასაწევ მეტოქედ, რომლებმაც ამჯერადაც ღირსება შემატეს ტაშკენტის ტურნირს. ჩვენები, როგორც იტყვიან, თავაწეულები იყვნენ, რადგან თავიანთ რიგებში წლევანდელი ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები ჰყავდათ, ადრინდელზე რომ არაფერი ვთქვათ. პირველ ყოვლისა ეს ელდარ კურტანიძეზე ითქმის. მან აქაც ღირსეულად წარმოაჩინა, როგორც საკუთარი თავი, ისე ქვეყანა. ელდარი თავისუფალ ჭიდაობაში 97 კგ წონით კატეგორიაში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ჩამოიცილა რა გზიდან ყველა ძველი მეტოქე, მათ შორის ამერიკელი დუგლასი. ფინალში მან მსოფლიო ჩემპიონატის შარშანდელ მეორე პრიზიორს, რუსეთელ ფრაევს სძლია.

ხვიჩა ბიჩინაშვილმა კი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვერცხლის მედალი მოიგო 76 კგ. წონაში. მისი თანაგუნდელი ტარიელ მელელაშვილი (69 კგ.) მესამე ადგილს დასჯერდა. ამავე წონაში თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პაექრობაში ასევე მესამე იყო ემზარ ბედინეიშვილი. 76 კგ წონით კატეგორიაში კი ბრინჯაოს მედალი საერთაშორისო სარბიელზე პირველად დაისაკუთრა რევაზ მინდორაშვილმა.



**ეს სურათი კი მინსკშია გადაღებული, სადაც, ამას წინათ, ევროპის ჩემპიონატი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.**

კადრში აღბეჭდილია ამ ჩემპიონატზე ჩვენი დელეგაციის სრული შემადგენლობა. პირველ რიგში (მარცხნიდან): ოთარ ტატიშვილი (მწვრთნელი), ზაზა სილაგაძე, აკაკი ჩაჩუა, თემურ ყაზარაშვილი (ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი), დავით ქარსელაძე; მეორე რიგში (მარცხნიდან): ბეგი დარჩია, გოგი ჰუმბურიძე (ექიმი), კობა გულიაშვილი, ხვიჩა ბიჩინაშვილი, ვლადიმერ კანკავა (დელეგაციის ხელმძღვანელი), მირიან გიორგაძე, ემზარ მახარაძე, ტარიელ მელელაშვილი, თამაზ რეხვიაშვილი (მწვრთნელი).

---



**პიტერში კასუიამ დავით თევზაძის ამაგი დააფასა, ვალში არც მინისტრი დარჩა**

იხ. მე-3 გვ.

## საინტერესო მატჩებია. თვალი ადევნეთ!

ამ დღეებში ფეხბურთის მოყვარულებს რამდენიმე საინტერესო ამხანაგური მატჩის ხილვა შეუძლია. რუსეთის ნაკრები, საქართველოში ჩამოსვლამდე, 27 მაისს კატოვიცეში ეთამაშება პოლონეთის ეროვნულ გუნდს. ამ შეხვედრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი დაიწყება 21 საათსა და 45 წუთიდან (РТР). ამავე დღეს სატელიტური ანტენების მფლობელთ შეუძლიათ თვალი ადევნონ ჰოლანდია – კამერუნისა და საფრანგეთი – ბელგიის მატჩებს (ორივე 23 საათსა და 30 წუთიდან დაიწყება). („სპორტი ცისფერ ეკრანზე" – იხ. მე-8 გვ.)

## ყველაფერი ამ ორ დღეში გაირკვევა

დღეს და ხვალ ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ბოლო აკარდიონა დარჩა გასათამაშებელი – პლეი-ოფი. 27 მაისს, 17 საათზე, თბილისის „შევარდენის" სტადიონზე ერთმანეთს შეერკინებიან XIII-XIV ადგილებზე გასული ბოლნისის „სიონის" და ლანჩხუთის „გურიის" გუნდები (მსაჯები: ხონელი თემურ მაჭარაძე, თბილისელები ალექსანდრე შილაკაძე, სოსო შალამბერიძე). დებულების თანახმად, მათ შორის გამარჯვებული ინარჩუნებს ადგილს პირველ ჯგუფში, ხოლო დამარცხებული ერთ მატჩში შეხვდება მეორე ჯგუფში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულებს. ეს შეხვედრა ხაშურის „ივერიასა" და ხობის „კოლხეთს" შორის შედგება 28 მაისს, 17 საათზე, თბილისის „ისნის" სტადიონზე. მსაჯები: ლანჩხუთელი ოთარ გუნთაძე, თბილისელები ვახტანგ ჩოჩიშვილი, სოსო კახიანი. მატჩში გამარჯვებული მომავალ სეზონში პირველ ჯგუფში ითამაშებს.

ცხოვრება და სპორტის ვეტერანი

# როინ დობორჯგინიძე: რაც დარტყმა მომაყენეს, ყველა აუტანლად მტკივნეული იყო



**როინ დობორჯგინიძე — დაიბადა 1948 წლის 27 მაისს, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯურუყეთში. საშუალო სკოლა დაამთავრა ბათუმში. იქვე, 15 წლისამ, თავისუფალ ჭიდაობაში დაიწყო მეცადინეობა მწვრთნელ ჟორა თარგამაძესთან. პირველი წარმატება ჯარში სამსახურის დროს მოვიდა — გახდა საქართველოს ჩემპიონი მწვრთნელ. ილია ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ ვ. ბალავაძის საერთაშორისო ტურნირებში ერთი ვერცხლისა და ერთიც ოქროს მედალი მოიპოვა. 1973 წელს ტოლიდოში (აშშ) მსოფლიო თასი ხვდა, იმავე წელს ევროპის მესამე პრიზიორია. მოიგო იაპონიის, ბულგარეთის, პოლონეთის, ინდოეთის საერთაშორისო ტურნირები, იყო სსრ კავშირის პროფკავშირების პირველობების არერთგზის ჩემპიონი, ორჯერ — სსრ კავშირის ჩემპიონატების მეორე პრიზიორი. გამოდიოდა 57 კგ. წონით კატეგორიაში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, 1976 წლიდან მწვრთნელია — აღზარდა სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები.**

**50 წლის ფალავანი დღეს „ლელოს" სტუმარია.**

● *ბატონო როინ, ჩვენ არ გაგვჭირვებია თქვენი მოძებნა, მაგრამ მკითხველსაც უთუოდ დააინტერესებს, ამჟამად სად ხართ, რას საქმიანობთ?*

— დიდი ხანია პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტული სკოლის დირექტორად ვმუშაობ თბილისში.

● *დავაკონკრეტოთ სკოლის პროფილი...*

— ვამზადებთ ქართული საჭიდაო ტრადიციების გამგრძელებლებს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

● *ქართული ჭიდაობის ჯგუფები არ გყავთ?*

— არა. „ჩოხიანები" არაა ჩვენი პროფილი.

● *სამწუხაროა, „შევარდენი" ეროვნული სპორტსაზოგადოებაა, ქართული ჭიდაობა კი...*

— სამაგიეროდ, უხვად ვიყენებთ ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ილეთებს.

● *ტრადიციები ახსენეთ, ვიცით, რომ თქვენი აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებში, ვის ტრადიციებზეა ორიენტირებული დღევანდელი ჭაბუკები?*

— ჩვენს სკოლაში აღიზარდა მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გურამ გედეხაური, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები ელდარ კურტანიძე და დავით პოღოსიანი, ზაზა ზოზიროვი, რომელიც ამჟამად უკრაინაშია, მათ კვალს მიჰყვებიან ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პრიზიორი ოთარ თუშიშვილი, მსოფლიო პრიზიორი თამაზ გეგეშიძე, ევროპის ჩემპიონი თედო ულუმბეგაშვილი, მსოფლიო პრიზიორი ახალგაზრდებში გოჩა ჩიხრაძე და ჭაბუკებში — გიორგი გობეჯიშვილი, თემურ ლობჟანიძე და სხვები. ყველა ესენი თავისუფალი ჭიდაობის წარმომადგენლები არიან. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კი ჩვენს სკოლაში დაოსტატდნენ ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონები ბაკურ გოგიტიძე, გოჩა ბიჩინაშვილი, რომელიც წლეულს დიდებში ევროპაზე მეორე იყო, მსოფლიო თასის მფლობელი და ევროპის პრიზიორი თენგიზ თევდორაძე, მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი გელა პაპაშვილი, შარშან ევროპის პრიზიორები გახდნენ გიორგი ჯინჭველაშვილი და აკაკი ჩაჩუა. პერსპექტიული ბიჭები არიან კობა ბალავინოვი, რომელიც ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა, ხოლო თემურ თხილაიშვილი და გელა კარკოზაშვილი მესამე იყვნენ. ბადრი ხასაიამ მეორე ადგილი დაიკავა თანატოლთა მსოფლიო პირველობაზე, თამაზ გოგელია კი მძიმე წონაში მესამე ადგილზე გავიდა ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე. მოკლედ, ბევრი გვყავს ნიჭიერი სპორტსმენი. დავძენ, რომ ჩვენს სკოლაში ასაკობრივი ცენზი არ არსებობს, ვიდრე ათლეტი თავს არ გაანებებს ჭიდაობას, შეუძლია ჩვენთან დარჩეს.

● *კი მაგრამ, ყველა ისინი ხომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარომადგენლები არიან...*

— დიახ, მაგრამ სკოლა ცენტრალურია და ჩვენი ჯგუფები ქვეყნის ბევრ ქალაქსა და რაიონში მუშაობენ.

● *მაშინ ისიც გვითხარით, განსაკუთრებით სადაა უკეთ საქმე...*

— ოზურგეთში, თერჯოლაში, გორში, რუსთავში, თბილისში...

● *გვახსოვს, 1981 წელს საქართველოს ნაკრებმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში რუსეთის გუნდს სძლია და ჩემპიონი გახდა. იმ შემადგენლობიდან ვინ გაითქვა შემდეგ სახელი მსოფლიო არენაზე?*

— აი, სწორედ იმ შემადგენლობიდან არიან ლერი ხაბელოვი, ზაზა თურმანიძე, გია გალდავა, ავთანდილ გოგოლიშვილი, თემურ გაბოძე და სხვები. მაშინ საქართველოს ნაკრებს, მე, თამაზ გოგოლაძე და ჯონი ლორია ვამზადებდით. ეს გამარჯვება უნიკალური იყო მოსწავლეთა სპარტაკიადების ისტორიაში.

● *მოკლედ, თუ გვეტყვით, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, როგორია თქვენი აღზრდილებისა და აღსაზრდელების წარმატებები?*

— სხვადასხვა ასაკში მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებულია 10 პირველი, 15 — მეორე და 12 — მესამე ადგილი, ევროპის პირველობაზე — შესაბამისად 5,7 და 10.

● *აღმზრდელებზეც გვითხარით...*

— სიამოვნებით დავასახელებ შესანიშნავ მწვრთნელებს ძმებ ირაკლი და ზურაბ ზურაბიანებს — ოზურგეთიდან, ნუგზარ სხირელს, მერაბ მუზიაშვილს და ირბეკ ჯიოშვილს — გორიდან, ბიჭიკო პაპაშვილს, დათო დავითაიას, რობიზონ ჩალაძეს, ნუგზარ გაჩეჩილაძეს, ჯონი რეხვიაშვილს, ოთარ ტატიშვილს, ვილი ხარაზოვს, ბიჭიკო შელიას, ალექსანდრე ჭყონიას და გურამ გულადაშვილს — თბილისიდან, ომარ მაისურაძეს — რუსთავიდან და სხვ. ამავე დროს გზას ვუხსნით და მუშაობის პირობებს ვუქმნით ახალგაზრდა მწვრთნელებს.

● *მოდით, ისევ თქვენს წარსულს დავუბრუნდეთ, როგორ მოხდა, რომ ოლიმპიურ ხალიჩაზე ვერ გამოხვედით...*

— ყველაზე რეალური შანსი მქონდა 1972 წელს. სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ჩემს წონაში კანდიდატი სამნი ვიყავით — მე, ტარიელ ალიბეგაშვილი და მოსკოველი ვლადიმერ კულაშოვი. ოლიმპიადის წინ სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ფაქტობრივად უნდა გადაწყვეტილიყო თუ ვინ წავიდოდა მიუნხენში. მე და ტარიელმა ფრედ 3:3 დავამთავრეთ შეხვედრა, კულაშოვს კი, რომელიც იმ წლის ევროპის ჩემპიონი იყო, მოვუგე 7:1 და იგი პრიზიორიც ვერ გახდა. VII ადგილზე გავიდა და მაინც ოლიმპიურ ნაკრებში კულაშოვი შეიყვანეს. მოკლედ, მეც და ტარიელიც შინ დაგვტოვეს.

● *კიდევ რას გაიხსენებდით საინტერესოს?...*

— 1973 წელს მსოფლიო ჩემპიონატისათვის ვემზადებოდით. წინ იყო სსრ კავშირის ჩემპიონატი. მე და მძიმეწონოსანი სოსლან ანდიევი კრასნოიარსკში არ გვაჭიდავეს, გამოგვიცხადეს, რომ ნაკრებში ჩვენს წონებში ჩვენ ვართ ნაღდი კანდიდატები და ორთაბრძოლებიდან გაგვანთავისუფლეს — დაგვასვენეს. მერე ოფიციალურადაც გამოაცხადეს ნაკრების შემადგენლობა და... მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე სამი დღით ადრე მეუბნებიან, რომ „სპორტული გადაღლა" მჭირს და ჩემი დატვირთვა აღარ შეიძლება. ეს იყო კიდევ ერთი აუტანლად მძიმე და მოულოდნელი დარტყმა.

● *სხვა რამ ხომ არ იყო ნამდვილი მიზეზი?*

— ადრეც და კრასნოიარსკის შემდეგ, მსოფლიოზე გამგზავრებამდეც, არაერთხელ შემომთავაზეს გადავსულიყავი მოსკოვში, რაზედაც მუდამ კატეგორიულ უარს ვამბობდი. ვფიქრობ, ეს იყო მთავარი მიზეზი — შეფარულად გამისწორეს ანგარიში.

● *ახლა გწყდებათ გული თქვენს „წინდაუხედაობაზე?"*

— არა. მით უმეტეს, რომ ჩვენშიც ძალიან უმადურად მომექცნენ და გულნატკენი ვარ დღემდე. მაშინ ბევრი აქაც მეუბნებოდა, თბილისში უბინაობა და სარდაფიდან — სარდაფში ცხოვრება მოსკოვურ კომფორტზე გამეცვალა. მაგრამ ვერ გადავდგი ეს ნაბიჯი, საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ ვერ წავედი.

● *კარგით, რაც იყო, იყო. ხომ არ თვლით, რომ რაც თქვენ დაგრჩათ სპორტში მიუღწეველი, თქვენი ვაჟი მისწვდება...*

— კახას ზაზა თურმანიძე და ბიჭიკო პაპაშვილი ავარჯიშებენ. კარგი მონაცემები აქვს, ჯერჯერობით საქართველოს ჩემპიონია დიდებში, მსოფლიოზე კი ახალგაზრდებში, შარშან, VII ადგილზე გავიდა. ვის არ უნდა, რომ შვილმა აჯობოს მამას.

● *კიდევ ერთი შეკითხვა და დავამთავროთ. თქვენი სკოლა უკვე სახელოვანია, ამდენი წარმატება ხომ თავისთავად არ მოდის, იქნებ ფინანსური პრობლემები მოგვარებული გაქვთ...*

— „შევარდენი" და მისი თავკაცი ბერდია გუგავა შეძლებისდაგვარად არაფერს იშურებს, მათაც უჭირთ. ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს ცნობილი ფალავანი გიორგი მაკასარაშვილი, რომელიც მოჭიდავეთა ფონდს ხელმძღვანელობს. ჩვენს სკოლაში იგი 15 მწვრთნელს და 24 პერსპექტიულ სპორტსმენს უხდის ფულს. ძალიან ვემადლიერებით კულტურულ-სპორტულ კომპლექს „სინათლის" ხელმძღვანელობას (თავმჯდომარე თამაზ ბაქანიძე), ისინი უსასყიდლოდ გვითმობენ დარბაზს და ჩვენს კომუნალურ ხარჯებსაც იხდიან.

● *წარმატებებს გისურვებთ, ვსარგებლობთ შემთხვევით და დაბადებიდან 50 წლისთავს გილოცავთ.*

— ულრმესი მადლობა.

ესაუბრა
თ. თომაშვილი




*სოფიკო ახმეტელი და გოგი თოფაძე ნაგანოში*

## გოგი თოფაძემ ყურადღება მომავალ ოლიმპიელებზე გადაიტანა

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრმა სამთოსათხილამურო სპორტში ლევან აბრამიშვილმა ნაგანოში გამოსვლის შემდეგ თავი გაანება აქტიურ სპორტს და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

ამ დღეებში ლევან აბრამიშვილს თბილისში შეხვდა „ლელოს" კორესპონდენტი და სთხოვა მოეთხრო მომავალ გეგმებზე.

— მართალია, ზამთრის სეზონი დასრულდა, მაგრამ სპორტსმენთა მზადება ხელოვნურ ტრასებზე გაგრძელდება. ჩვენი ძირითადი ნაკრები — გოდერძი დადვანი, ცოტნე ებრალიძე, გიგლა მახარაშვილი და სოფიკო ახმეტელი შეკრებას ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით გაივლიან ავსტრიასა და იტალიაში. ახალგაზრდული ნაკრები კი თვენახევარი საფრანგეთში, ავსტრიაში, სლოვენიასა და იტალიაში გამოდიოდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. შედეგებით უკმაყოფილონი არ ვართ. დასაწყისისთვის ახალბედებს ბევრს ვერ მოვთხოვთ. მადლობა მინდა ვუთხრა ფირმა „ყაზბეგს" და მის თავკაცს, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ გოგი თოფაძეს მატერიალური მხარდაჭერისთვის — თქვა ლევან აბრამიშვილმა.

რუსუდან სხირტლაძე

## მოსწავლეთა სპარტაკიადა

გრძელდება თბილისის მოსწავლეთა 52-ე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: 1. ისნის რ-ნი, 2. სამგორი, 3. გლდანი, 4. დიდუბე, 5. კრწანისი, 6. ნაძალადევი, 7. ჩუღურეთი, 8. მთაწმინდა, 9. ვაკე, 10. საბურთალო. სამბო: 1. კრწანისი, 2. სამგორი, 3. ჩუღურეთი, 4. დიდუბე, 5. ისანი, 6. ნაძალადევი, 7. ვაკე, 8. გლდანი, 9. საბურთალო, 10 მთაწმინდა. შეგახსენებთ: 1 ადგილი — 10 ქულა, მე-2 — 9,... მე-10 — 1.

ლაშა კოდუა, დავით კოდუა

**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**
**მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!**

ქ. თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი ემსახურება პროფესიულ სპორტსმენებს, სპორტსკოლების აღსაზრდელებს, სპორტში გაჯანსაღებისთვის მომეცადინეებს; ყველას, ვისაც ესაჭიროება აღდგენითი თერაპია (რეაბილიტაცია): დამბლა, პარეზი, გადატანილი ინფარქტი, მოტეხილობა და სხვა ტრავმები, დამწვრობა, იშიორადიკულიტი, ათრიტი, ართროზი, ოსტეოხონდროზი, ახოვანების დეფექტი და სკოლიოზური დაავადება. ცენტრთან ფუნქციონირებს მასაჟისტის მოსამზადებელი ორთვიანი კურსები.

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.

## «ლელოს» ფოტომატიანე



*რკინიგზელთა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს ტრადიციულად, ისევე როგორც რკინიგზის სამმართველოს, თბილისში ჰქონდა შტაბბინა და მეზობელი რესპუბლიკების ამ დარგის სპორტული მუშაობა ჩვენი დედაქალაქიდან იმართებოდა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში და 70-იანი წლებში, როცა ამ სპორტსაზოგადოებას შესანიშნავი ორგანიზატორი და პიროვნება თენგიზ კაჭახიძე ედგა სათავეში, რკინიგზელთა სახელით მოასპარეზე ქართველი ათლეტები ზედიზედ იპყრობდნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ყველაზე მაღალ სპორტულ მწვერვალებს. ეს იყო ჭეშმარიტად ახალი მოღვაწეობის ხანა ქართულ სპორტში, რაშიაც დიდი იყო იმ რკინიგზელთა დამსახურება, რომლებიც აქვე შემოთავაზებულ ფოტოზე არიან აღბეჭდილნი.*
*მარცხნიდან – პირველ რიგში: უცნობი (სავარაუდოა, რომ სომხეთიდანაა), ოლგა შერბინინა, უცნობი (სავარაუდოა, რომ ბაქოდანაა), ალექსანდრე დოლიძე; მეორე რიგში (მარცხნიდან): ბლუაშვილი, გივი ჩიქობავა, გელა გულბანი, გიორგი ჟორჟოლაძე, თენგიზ კაჭახიძე, ავთანდილ გიორგობიანი, მერაბ ბაღდასაროვი, ილია სტურუა.*

## დებიუტანტი



**ბადრი ხასაია**
(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
დაიბადა 1979 წელს ქ. თბილისში
წონა: 69 კგ
სიმაღლე: 175 სმ
სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშობს 1992 წლიდან დავით დავითაიასთან
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წარმომადგენელია
საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი ჭაბუკებში.
მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი კადეტთა შორის,
გარდა სპორტისა გატაცებულია ხატვით და ცხენზე ჯირითით.

# თემურ ქეცბაიას ცრემლმორეულნი ეფერებოდნენ სპორტულ ინტერნატში მისი ყოფილი მასწავლებლები

**გასული ორშაბათი ღირსსახსოვარ თარიღად დარჩება გლდანის ყოფილი სპორტული სკოლა-ინტერნატის, ამჟამად საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ცხოვრებაში. ამ დღეს 40 წელი გასრულდა მას შემდეგ, რაც გიორგი მერკვილაძის თაოსნობით, საბჭოთა კავშირში სპორტული პროფილის პირველი ინტერნატი შეიქმნა.**

ამ სასწავლებელს თავის დროზე ბადალი არ ჰყავდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი იყო, არამედ იმითაც, რომ იგი სულ მალე გადაიქცა ქვეყნის ნიჭიერ სპორტსმენთა აღზრდის ფუძემყარ კერად, რომლის კედლებიდან შემდგომში გამოვიდა არაერთი მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენი. დღეს ისინი ასევე გამოჩენილი მწვრთნელები, სპორტული მუშაკები ან სულაც ღირსეული მოქალაქეები არიან. 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბევრი მათგანი ეწვია სასწავლებელს, სადაც ყრმობისა და ყმაწვილკაცობის წლები გაუტარებიათ. მათ შორის იყო ფეხბურთში ეროვნული ნაკრების წევრი თემურ ქეცბაია. უნდა გენახათ როგორ ეფერებოდნენ თემურს თვალებზე სიხარულის ცრემლმორეული თავისი ყოფილი მასწავლებლები, როგორ გაიხარეს მოსწავლეებმა მისი სტუმრობით. ცხადია, სხვებიც ბევრნი იყვნენ, ვისი სახელიც მუდამ ეამაყებოდა და ეამაყება სასწავლებელს — ასეთია ტრადიცია.

დიდი ხანი არ არის, რაც აქაურობას მზრუნველი ხელი დაეტყო, ნგრევის წლებმა, სამწუხაროდ, თავისი კვალი აქაც დატოვა და ახალმა დირექტორმა, შესანიშნავმა ახალგაზრდა კაცმა მერაბ მეტრეველმა ყველაფერი გააკეთა, რომ სასწავლებელს გარეგნული სახეც აღედგინა და ტრადიციებიც. უნარიან ხელმძღვანელს მხარში ამოუდგა მთელი კოლექტივი. ამ ცოტა ხნის წინათ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიამ 6 თვის მანძილზე ახალი ხელმძღვანელის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები მოისმინა. წინსვლა და ჭეშმარიტი მეურნის დამსახურება საგანგებოდ აღინიშნა ამ კოლეგიაზე. საიუბილეო თარიღს კი ეს ობიექტი უფრო დამშვენებული და წელგამართული შეხვდა. ამაში თავად დარწმუნდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, მისი პირველი მოადგილე და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანსუღ ბაგრატიონი, სხვა ხელმძღვანელები. ისინი აქ გამართულ სპორტულ და მოსწავლე-სპორტსმენთა მიერ წარმოდგენილ თეატრალიზებულ წარმოდგენასაც დაესწრნენ და მოიხიბლნენ ახალგაზრდების ნიჭიერებით.




— დიდად კმაყოფილი დავრჩით იმით, რაც ვნახეთ და, საერთოდაც, ამ სასწავლებელში ბოლო ხანებში გაწეული საქმიანობით. დავრწმუნდით, რომ აქ კვლავ აღიზრდება ქართული სპორტის საიმედო რეზერვი — თქვა ჯანო ბაგრატიონმა. მანვე იქვე განაცხადა, რომ სასწავლებელი დაჯილდოებულია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სეოკ-ის საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიით.

ყოფილმა ინტერნატელებმა ითხოვეს, რომ სასწავლებელს კვლავ დაუბრუნდეს ძველი სახელი, ანუ იწოდებოდეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სპორტულ სკოლა-ინტერნატად. ამ სურვილს დაემატა დირექციის თხოვნა, რომ ამ სასწავლო დაწესებულებას ეწოდოს მისი დამაარსებლის გიორგი მერკვილაძის სახელი, რასაც ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელები დათანხმდნენ და ითქვა, რომ სათანადო დოკუმენტსაც შექმნიან.

სასწავლებელი 41-ე წელიწადში გადადგა, იწყება ახალი ათწლეულების ათვლა საქართველოს სპორტის საკეთილდღეოდ.

თ. ბაქრაძე

**P.S.** დასრულდა სასწავლებლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღია გუნდური პირველობა თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ძიუდოში. ფინალური შეხვედრების შემდეგ (გუნდი გუნდზე) ადგილები ასე განაწილდა:

*თავისუფალი ჭიდაობა.* 1. ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი, 2. „შევარდენი", 3. „მართვე".

*ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.* 1. ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი, 2. „ლოკომოტივი", 3. ქვემო ქართლი.

*ძიუდო.* 1. ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი, 2. „შევარდენი", 3. ქვემო ქართლი.

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## ზუგდიდი

დამთავრდა რეგიონის პირველობა 14 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის ბაგრატიონის თასზე, რომელიც ჩაატარა სამეგრელოს ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონალურმა ფედერაციამ (პრეზიდენტი ოთარ ჭითანავა). გათამაშებაში მონაწილეობდნენ ქალაქების ზუგდიდის, ფოთის, დაბა ჯვარის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონების ნაკრები გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა ზუგდიდის ნაკრებმა (მწვრთნელები თამაზ როგავა, ოთარ ძალამიძე), მეორე იყო წალენჯიხის ნაკრები (ჯემალ ჭანია, გურამ ქარჩავა), მესამე — ჩხოროწყუს გუნდი (ერემია ციმაკურიძე, ვაჟა ესართია). გამარჯვებულს გადაეცა სამეგრელოს რეგიონალური ფედერაციის თასი, პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, გამოვლინდნენ პერსპექტიული ჭაბუკი ფეხბურთელები — ცოტნე გერგედავა, არჩილ გაბელია, ზურაბ ექონია, ირაკლი მალიჩავა, გიორგი ექონია, გიორგი ფიფია, მანუჩარ გაბისონია (ყველა — ზუგდიდი). კარლო ბასილაია, თამაზ თევზაძე, გოგიტა კვარაცხელია (ყველა — ფოთი). თეიმურაზ ფურთუხია, ნიკა კვარაცხელია (ორივე — წალენჯიხა) ბაკურ ბარაშვილი (ხობი), ირაკლი მითაგვარია (ჯვარი), ლევან გოგუა (ჩხოროწყუ).

დაკომპლექტდა სამეგრელოს რეგიონის ნაკრები, რომელიც 1-15 ივნისს ლაგოდეხში რეგიონებში გამარჯვებულთა ფინალში იასპარეზებს.

ჯემალ გოგია,
გათამაშების მთავარი მსაჯი.

## თბილისი

ჩვენში, ადრე, კარგი ტრადიცია იყო — საჭადრაკო პირველობები ტარდებოდა ორგანიზაციებში და სასწავლებლებში, თითქმის ყველგან, სადაც ეს ბრძნული თამაში უყვართ. პრინციპი გასაგებია — პოპულარობა და ხელმისაწვდომობა. ახლა ამ ტრადიციისადმი ერთგულება კვლავ გაიხსენეს თბილისის საავიაციო ქარხანაში, სადაც საწარმოს ჩემპიონატში 13 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი ჩაება. შეჯიბრებაში პერსონალურად მიიწვიეს პერსპექტიული გოგონა, 121-ე სკოლის მოსწავლე ანა გავაშელი (მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი), რომელმაც 9,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 11,5 ქულით ჩემპიონი გახდა №9 საამქროს მღარავი ილია სავანელი, მესამე იყო ქარხნის ვეტერანი თანამშრომელი, ამჟამად პენსიონერი ლევან ფოფხაძე. (8).

# ორი მედალი მაინც მივითვალეთ



**მინსკში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კრივში. „ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ 19 წლის ვარიანელი მოკრივის რამაზ გაზაშვილის გამოსვლის შესახებ. იცით, რომ იგი ნახევარფინალში დამარცხდა უკრაინელ მოკრივე ვლადიმერ სიდორენკოსთან, რომელმაც შემდეგ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. რაც შეეხება ფოთელ კობა გოგოლაძეს, იგი ფინალში შეხვდა უძლიერეს გერმანელ მოკრივეს კაი ჰუსეს, რომელმაც მინიმალური ანგარიშით 2:0 მოუგო ჩვენებურს.

სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ მოკრივეებს აეროპორტში შევხვდი და პირველს კობა გოგოლაძეს გავესაუბრე.

● ***კობა, გილოცავ წარმატებას. ცხადია, ვერცხლის მედალი ევროპის ჩემპიონატზე ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ ყველა ხომ „ოქროზე" ოცნებობს...***

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ევროპულ რინგზე პირველად გამოვედი. მსოფლიოზე ხელის ტრავმა მივიღე და დიდხანს ვმკურნალობდი. ამჯერად მინსკში მიღწეული ჩემი შედეგით უკმაყოფილო არ ვარ.

● ***კაი ჰუსეს სხვა დროს თუ შეხვედრიხარ?***

— არა, პირველად შევხვდი. 3 რაუნდი თანაბარ ბრძოლაში გაილია, მეოთხე რაუნდში კი მსაჯებმა 2:0 დააფიქსირეს გერმანელის სასარგებლოდ.

● ***მსაჯობას ხომ არ ემდურით?***

— ურიგოს ვერაფერს ვიტყვი, კარგი მსაჯობა იყო.

● ***ჩატარებული ბრძოლებიდან რომელი იყო უფრო დაძაბული?***

— ყველაზე მძიმე ნახევარფინალში სომეხ არტურ გევორქიანთან შეხვედრა გამოდგა. ჩემი მეტოქე რინგის საკმაოდ ცნობილი ოსტატია.

● ***რინგზე აგრესიული მოკრივე, რინგგარეთაც ასეთივე ხომ არა ხართ?***

— არა რინგზე სხვა ვარ, ცხოვრებაში სხვა...

● ***დაოჯახებული თუ ხართ?***

— ჯერჯერობით არა.

● ***რინგზე გასვლის წინ ხომ არ გაფრთხობთ მეტოქის ტიტულები ან ბრძოლის მისეული მანერა?***

— რინგზე გასული მეტოქეზე საერთოდ აღარ ვფიქრობ, მხოლოდ ერთი აზრი — „გამარჯვება" მიტრიალებს თავში...

● ***როგორც შევიტყვეთ, მიწვეული ხართ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩინეთში, უფრო დაწვრილებით რას იტყოდით?***

— ევროპის ჩემპიონატის ყველა გამარჯვებული და პრიზიორი მიიწვიეს ამ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც 13 ივნისს დაიწყება. მოხარული ვარ, რომ რჩეულთა შორის მეც მოვხვდი. ჩემპიონატამდე დარჩენილ დროს კარგად გამოვიყენებ, რათა წარმატებას მივაღწიო.

P.S. კვლავ 19 წლის რამაზ გაზაშვილზე გვინდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. შარშან იგი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გახდა ახალგაზრდებს შორის, წლეულს კი ევროპის ჩემპიონატზე პირველად იასპარეზა დიდებში და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. ცხადია, ახალგაზრდა ვარიანელი მოკრივისთვის ეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს. თუ ბედიც გაუღიმებს და ჩინეთში მსოფლიო ჩემპიონატზეც მიიწვიეს (ჯერჯერობით თადარიგშია), ვინ იცის, იქნებ იქიდანაც მედლით დაგვიბრუნდეს.

თამარ პაპიძე

# სასარგებლო კონტაქტები



# ჰიტოში კასუიამ დავით თევზაძის ამაგი დააფასა, ვალში არც მინისტრი დარჩა

საქართველოს კარატე-დოს და შოტოკან კარატე-დოს ფედერაციების მოწვევით ამ დღეებში თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი, მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონი, მე-7 დანის მფლობელი ჰიტოში კასუია. ეს მისი მეხუთე სტუმრობა იყო ჩვენში და დროის სიმცირის მიუხედავად, როგორც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა, ჰიტოში კასუიას მოსწავლემ და მისმა წარმომადგენელმა აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნებში კახა ბასილიამ გვითხრა, სენსეიმ (მასწავლებელმა) ოთხი სემინარის და ინსტრუქტორთა საატესტაციო გამოცდის ჩატარება მოასწრო, რის შედეგადაც შავქამრიანთა რიგებს 15 სპორტსმენი შეემატა ახალ რანგში. დრო საქმიანი შეხვედრებისთვისაც გამოიძებნა — სტუმარი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-მაიორმა დავით თევზაძემ მიიღო. შეხვედრისას ხაზი გაესვა იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც ორთაბრძოლებს ენიჭება პიროვნების სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად ჩამოყალიბებისათვის. საქართველოს ეროვნული ფედერაციის რეკომენდაციით, შოტოკან კარატე-დოს მსოფლიოს ფედერაციამ, დავით თევზაძეს, საბრძოლო ორთაბრძოლების სფეროში წლების მანძილზე მოღვაწეობისათვის მე-5 დანი მიანიჭა. შესაბამისი დიპლომი კი ჰიტოში კასუიამ ამ შეხვედრაზევე გადასცა. არც ბატონი მინისტრი დარჩა ვალში და სტუმარს სამახსოვრო საჩუქარი უძღვნა. ამ არაოფიციალურმა შეხვედრამ, როგორც იტყვიან, მართლაც თბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. განიხილეს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების საკითხი და გადაწყდა, რომ უმოკლეს ვადაში ფედერაცია სამინისტროს წარუდგენს თანამშრომლობის კონკრეტულ პროგრამას.

რ. სხირტლაძე

*სურათზე მარცხნიდან: ირაკლი ნარმანია, კახა ბასილია, ჰიტოში კასუია, დავით თევზაძე, თემურ რამიშვილი. ეს-ესაა ჰიტოში კასუიამ მე-5 დანის დიპლომი გადასცა დავით თევზაძეს.*

# SOS

## ქვემო ქართლის ჰამგეჰლებს არ აწყენდათ კარგად წაეკითხათ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა"

*საქართველოს ყველა ფინანსისტმა თითქოს პირი შეკრა – ზევით, საშუალო რგოლში თუ ქვევით, ყველგან, სადაც მათ სპორტის დაფინანსებისთვის ხელს გაუწვდიან, ისე მწარედ ურტყამენ, რომ მეორედ აღარავის მოუნდეს ხაზინისკენ გახედვა.*

„ლელო" არაერთხელ წერდა იმ საგანგაშო ვითარებაზე, რაც ქართული სპორტის ქრონიკულმა უსახსრობამ გამოიწვია. ეს ერთნაირად ეხება დედაქალაქსაც, რეგიონებსაც და კონკრეტულ ქალაქებს თუ რაიონებსაც. შარშან, წლის ბოლოს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კომისია, რომელშიაც „ლელოს" წარმომადგენელიც შედიოდა, ქვემო ქართლს ეწვია სპორტის მუშაკებისათვის მუშაობის პირობების გაუარესებასთან დაკავშირებული პრობლემების ადგილებზე შესასწავლად. კაცმა რომ თქვას, გასარკვევი რა იყო, ქვემო ქართლშიც იგივე სურათი დაგვხვდა, რაც დანარჩენ საქართველოშია – უსახსრობა ანუ უხელფასობა, და ეპიზოდური მათხოვრობა ადგილობრივ ხელისუფლებთან სპორტსმენთა შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი თანხების გამოსაყოფად. მაშინ, როგორც ჩანს, ყურად იღეს ზემოდან მივლინებულთა თხოვნა და ძველი ვალები გაუსტუმრებიათ, მაგრამ, ვაი ასეთ გასტუმრებას: თურმე მაშინდელი ჩვენი სტუმრობა და „ლელოში" გამოქვეყნებული პუბლიკაცია გულში ჩაუხვევიათ რაიონის მამებს, უპირველესად კი ხაზინის მამებს და შარშანდელი ვალების გადახდის შემდეგ საერთოდ ახლოს აღარ იკარებენ სპორტის მუშაკებს – დაფინანსება შეუწყვიტეს ბავშვთა სპორტსკოლებს, მწვრთნელებს, გუნდებს აღარ აძლევენ თუნდაც თბილისში ჩასასვლელ გზის ფულს. ისევ მშობლების კისერზე გადადის ყველაფერი. ზოგიერთ მშობელს არც შეუძლია თუნდაც რამდენიმე ლარი გაიღოს და მისი ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი ოჯახის შვილი, შინ რჩება. მის ადგილს, ცხადია, ნაკლებ პერსპექტიული, მაგრამ ფულიანი იკავებს. მერედა, ვინ ზარალდება საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ქართული სპორტი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქვემო ქართლში უაღრესად ნიჭიერი მოზარდები გამოჩნდნენ ბოლო ხანებში, რაც ახალგაზრდა მწვრთნელების თავდადებული გარჯის ნაყოფია. მაგრამ როდემდე გაჰყვებათ მათ ენთუზიაზმი? ბევრს წლეულს საერთოდ არ მიუღია ხელფასი. ძალზე ცუდადაა საქმე მარნეულის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის რაიონებში. მაგალითად, ისტორიულ სოფელ ტანძიაში, ძიუდოისტთა ისეთი ჯგუფი შეიქმნა, ბოლნისის რაიონის ნაკრების სახელით გამოდის ქვეყნის პირველობებში. განა ეს მისასალმებელი არ არის? აი ასეთ გუნდსაც კი შეჯიბრებაზე გასამგზავრებელ ფულს არ უხდიან.

არ გვინდა გავამწვავოთ სიტუაცია და თავს ვიკავებთ მოზარდი სპორტსმენების მშობელთა იმ წერილების გამოქვეყნებისგან, რომელიც ქვემო ქართლის რაიონებიდან მივიღეთ (სხვათა შორის, იმასაც გვწერენ, რომ პირის შეკვრა მხოლოდ ფინანსისტებს არა, სპორტსმენთა მშობლებსაც შეუძლიათ და ერთხელაც იქნება, როცა ქვემო ქართლის ნაკრებს მიიწვევენ თბილისში, ისინიც გაჰყვებიან თავიანთ შვილებს და უმაღლეს დონეზე მოიძიებენ სამართალს).

ვიმედოვნებთ, ქვემო ქართლის რაიონის გამგებლები გაურთულებლად მოაგვარებენ სპორტსმენებთან და მათ აღმზრდელებთან ურთიერთობას. ეს პატივს და ღირსებას შემატებს მათ ავტორიტეტს საკუთარი რაიონის ხალხისა და ქვეყნის თვალში.

27 – 29 მაისი, 1998



# ილია დათუნაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში ებმება

**სპორტული მასმედიის ბოლოდროინდელ გარჯას უნაყოფოდ არ ჩაუვლია — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა ბოლოს და ბოლოს გამოსწორდა, თუმცა უამრავი ხარვეზი თან ახლავს — აღნიშნა გასულ კვირას ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე სფფს პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ვეტერანმა დინამოელმა ილია დათუნაშვილმა.**

ჟურნალისტებმა დაუფარავად უთხრეს მას, რომ მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსი თითქმის არა აქვს.

— იმედი რომ არ მქონდეს, ამ დარბაზში არც გამოვიდოდი.

● ***რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი?***

— მეგობრებისა და ნაცნობების დიდი წრე მყავს, ყველამ იცის რა პიროვნება ვარ, რას ვაკეთებ. ამიტომ მათი კეთილგონიერების იმედი მაქვს.

● ***დავუშვათ, გაიმარჯვეთ, ფედერაციის მუშაკებს ყველას გაანთავისუფლებთ?***

— რატომ? ფედერაციაში მუშაობენ პატიოსანი, კომპეტენტური პიროვნებები, რომლებსაც გვერდში დავიყენებ, უბრალოდ, არ ვეთანხმები მათი მუშაობის სტილსა და მიმართულებებს, საქმისადმი მიდგომას.

● ***როგორ შეაფასებდით ქართული ფეხბურთის დღევანდელ დონეს?***

— იგი თანდათან ეცემა და მის გადასარჩენად რაიმე უნდა ვიღონოთ. პირველ ყოვლისა მისახედია ეროვნული ჩემპიონატი. აუცილებლად მიმაჩნია გუნდების რაოდენობის შემცირება... თუმცა ყველაფერი ეს ჩემს საარჩევნო პროგრამაშია და მას როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ გამოვამზეურებ...

ვიცი, არჩევნებში ძნელი იქნება გამარჯვება, მით უმეტეს, ფედერაცია აქტიურად ემზადება 24 ივლისისათვის. მისი მუშაკები რაიონებში მოგზაურობენ და ხმებს იგროვებენ, მაგრამ მეც მაქვს შანსი, დამიჯერეთ, ყველაფერს ვერ ვიტყვი.

● ***სფფ-ს ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ „ჩაწყობილი თამაშები“ საქართველოში არ არისო, თუმცა ჩემპიონატის ბოლო ტურის რვა მატჩიდან ნახევარი მაინც უცნაურად წარიმართა. როგორ შეებრძოლებით ამ სენს?***

— კადრები წყვეტს ყველაფერს. გადახედეთ, ვინ ინიშნება მატჩების ინსპექტორებად? ზოგიერთს არავითარი შეხება არა აქვს ფეხბურთთან, არადა, რამდენი სახელოვანი ვეტერანი დადის დღეს დაუსაქმებელი. გარდა ამისა, ისეთი გარემოც უნდა შეიქმნას, გუნდებს ერთმანეთთან გარიგების სურვილი რომ დაეკარგოთ.

● ***როგორ უყურებთ მურთაზ ხურცილავას წინადადებას — ყრილობამდე მოეწყოს სპეციალისტთა, ფართო საზოგადოების, ჟურნალისტების, გულშემატკივრების შეკრება, რომელიც იმსჯელებს ქართულ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობაზე?***

— სავსებით დადებითად. მზად ვარ აქტიური მონაწილეობა მივიღო ასეთ თავყრილობაში...

ჯემალ ჭიკაშვილი

## ქართული ფეხბურთის ამბები

● **ილბლიანად** დაიწყო თბილისის „დინამოდან“ წასულმა ***დავით ყიფიანმა*** თავისი საქმიანობა იაროსლავლის „შინიკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. 21 მაისს მან რუსეთის ჩემპიონატის ეს აუტსაიდერი ჩაიბარა (გუნდს 8 თამაშიდან მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდა), 23 მაისს, ვლადიკავკაზში, „ალანიასთან“ შეხვედრაში გამარჯვება მოაპოვებინა.

● **მეცხრეეროვნული** ჩემპიონატი, როგორც იცით, წინა კვირას დასრულდა და ამჟამად ფეხბურთელებს და მათ მწვრთნელებს შვებულების დრო დაუდგათ. 10 ივნისის შემდეგ ისინი კვლავ შეიკრიბებიან და შეუდგებიან ახალი სეზონისათვის მზადებას. როგორც ეტყობა, პირველი ჯგუფის გუნდებში მრავალი საკადრო საკითხია გადასაწყვეტი, თუმცა, ერთ-ერთში უკვე მოხდა გადაადგილებები. საქმე თბილისის „მერანი-91“-ის კლუბს ეხება. მთავარ მწვრთნელს, ***ჯონი ჯანელიძეს,*** როგორც თავად აცხადებს, კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაო დრო ამოეწურა და გუნდი დატოვა. „მერანი-91“-ის კლუბის პრეზიდენტმა უცხო კაცი კოლექტივში აღარ მიიყვანა და ჯანელიძის ფუნქციების შესრულება იქვე მომუშავე მეორე მწვრთნელ ***სერგო გაბელაიას*** დააკისრა.

მას შემდეგ, რაც ქუთაისის „ტორპედომ“ ბოლო მატჩები წარუმატებლად ჩაატარა, ხმა დაირხა ავტოქარხნელთა კლუბის მეპატრონეები მთავარ მწვრთნელ ***ხოსო ფრუიძეს*** განთავისუფლებას უპირებენო. მის შემცვლელსაც კი ასახელებდნენ — სამტრედიის „ივერიის“ თავკაცს ***ნიკა ამირეჯიბს,*** იმავდროულად, თურმე, ფრუიძე მის ადგილს დაიკავებდა. როგორც ეტყობა, როქი არ შედგა, ვინაიდან „ტორპედოს“ პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ „ლელოს“ კორესპონდენტს განუცხადა: „ფრუიძე გუნდში დარჩება და ბიჭებს ინტერტოტოსთვის მოამზადებს“.

# დაიმახსოვრეთ „ირაო“ და იყურეთ მაღლა...

საქართველო რომ საფეხბურთო ქვეყანაა, ყველამ იცის. ეჰ, პირობებიც რომ გვქონდეს, სპორტის ამ სახეობაში იმხელა პოტენცია გვაქვს, სულ ცოტა ხანში „ბობოლა“ გრანდებს გავუტოლდებით. მიუხედავად ამისა, მოდით, ოპტიმიზმით განვიმსჭვალოთ მომავლის შემყურე, მით უმეტეს „ყინული ლღვება“, და ჩვენი თაობა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

თბილისში, კერძოდ კი, ვაკეში პერსპექტიულ ნორჩ ფეხბურთელებსაც შეექმნებათ ყველა პირობა მომავალში მაღალი მიზნების მისაღწევად.

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბდა ფონდი „ფეხბურთი – ბავშვებისათვის“, რომელსაც დიდი საქმეების კეთება აქვს განზრახული. მის მესვეურებს, მკითხველს, თანმიმდევრობით გავაცნობ. ფონდის პრეზიდენტი გახლავთ ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი გრიგოლ ცაავა, ვიცე-პრეზიდენტები ლევან ყიფიანი (ქართული ფეხბურთის კორიფის დავით ყიფიანის ვაჟი) და საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი. ფონდის გენერალური დირექტორია ნიკო დოლიძე – შესანიშნავი მწვრთნელი, რომლის ხელშიც აღიზარდნენ თვით ძმები არველაძეები, გიორგი ქინქლაძე და სხვ. სწორედ ამ ინიციატივიანმა ადამიანებმა გადაწყვიტეს ვაკეში დაეარსებინათ საფეხბურთო სკოლა, რომელიც სხვა ამდაგვარი დაწესებულებებისაგან გამორჩეული იქნებოდა ორიგინალობით, საერთაშორისო ევროპული სტანდარტებით. ბაზას აქვს მინდორი, საშხაპეები, სხვა საჭირო ინვენტარი.

ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო დიდ ფინანსურ ხარჯებთან, ამიტომ რის ვაინაჩრობით გამოინახა უცხოელი ინვესტორი – ამერიკელი სპონსორი და გერმანიაში მცხოვრები, წარმოშობით სოხუმელი ებრაელი – საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი რობერტ მორალი. გარდა ამისა, ფონდს დიდად ეხმარებიან ფეხბურთელები – ძმები არველაძეები, მიხეილ ყაველაშვილი, ვაკის რაიონის გამგებელი დავით სულაძე. არც სფფ დარჩენილა განზე – მან ფონდს 18 ათასი დოლარი გადაურიცხა.

სპორტული კომპლექსი სულ ერთ თვეში დამთავრდება. სათამაშო მინდვრის ზომებია 40X25-ზე. ასეთი ზომის სტადიონი ბავშვებისთვის ზედგამოჭრილია. მინდვრის საფარი ხელოვნური იქნება. წვიმის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი გადახურვაც.

სტადიონზე დამონტაჟებულია ფილიპსის ფირმის პროჟექტორები, ასე რომ, განათების პრობლემა მოგვარებულია. როგორც გვითხრეს, დაგეგმილია აგრეთვე 500 ადგილიანი ტრიბუნების დამონტაჟება. დამთავრების სტადიაშია ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია – მასში მოთავსდება გასახდელები, საშხაპეები, სავარჯიშო იარაღები.

საფეხბურთო სკოლას „ირაო“ დაერქვა, მისი გერბი კი ფრთებგაშლილი თეთრი არწივია, რაც სიძლიერის და წარმატებული წინსვლის თილისმას ნიშნავს.

შევიტყვეთ, რომ თავდაპირველად დაგეგმილია 5 ასაკობრივი ჯგუფის გახსნა (20 მოზარდი თითოში).

ამჟამად, თურმე, მიმდინარეობს მოლაპარაკება სტადიონის გარშემო სხვადასხვა ფირმის სარეკლამო ფირნიშების დასამონტაჟებლად.




საფეხბურთო კლუბ «ირაოს» გერბი

„ირაოსთან“ თანამშრომლობის სურვილი გამოუთქვამს ფირმა „კოკაკოლას“. ასე რომ, მოკლე ხანში „ირაოს“ მრავალი მოზარდი მიანყდება და ქუჩას ჩამოშორდება, რაც ძალზე მისასალმებელია.

ვაკის სტადიონის გახსნის ცერემონიალზე გასათვალისწინებელია გაიხსნას ნოდარ ახალკაცის ძეგლი, იქვე გაიმართება მატჩი ვეტერან ფეხბურთელებსა და სპორტულ ჟურნალისტებს შორის.

გოგა ლომიძე

## საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი XXX ტური

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

**ოდიში (ზუგდიდი) — სიონი (ბოლნისი) 4-2**

***ოდიში:*** გაბელია, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ჯაბუა, ბარქაია, ქორიძე, ჭედია (ცქიფურიშვილი), ენდელაძე, იოსავა (ჯურხაძე), გლუნჩაძე (შედანია), კალანდაძე.
***სიონი:*** დ. ბიწაძე, ჩომახიძე, ყიფშიძე, შაკიაშვილი, ჯ. წიკლაური, ტარტარაშვილი, გოგოლაძე, ჯაფარიძე, ტყავაძე, ჯაგიდისი, ლ. გაგუა.
***გოლი:*** 1-0 ენდელაძე (2), 1-1 ტარტარაშვილი (9), 1-2 ტყავაძე (14, პენ.), 2-2 კალანდაძე (19, პენ.), 3-2 გლუნჩაძე (34), 4-2 ენდელაძე (67).
***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**რუსთავი — კოლხეთი-1913 (ფოთი) 3-1**

***რუსთავი:*** ქორიძე, მენთეშაშვილი, მელაძე (პატარიძე), სილაგაძე, მ. სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, ბ. შენგელია (ბოკერია), ჩუხუა (ლაბაძე), ყიფიანი, კ. ალადაშვილი.
***კოლხეთი-1913:*** ჩემია, ქუტიძე (ბაჩილავა), ჯღამაძე, გიორგაძე, გოროზია, ღლანიძე, გიორგობიანი (კრასოვსკი), დ. მახარაძე, ე. გვასალია, სუხიაშვილი, პაპავა.
***გოლები:*** 1-0 ჩუხუა (8, პენ.) 2-0, 3-0 ბოკერია (77, 84), 3-1 დ. მახარაძე (89).
***გააფრთხილეს:*** პატარიძე, მელაძე.
***მსაჯი:*** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

**ტორპედო (ქუთა) — მაღაროელი (ჭიათა) 1-2**

***ტორპედო:*** ასლანაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, მეტრეველი, გ. შენგელია (ქებაძე), ვაჩიბერაძე (გ. მეგრელაძე).
***მაღაროელი:*** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე, გაბრიჭიძე, ჩიკვილაძე, ბარამიძე (ტეფნაძე), ბუიშვილი, შეყლაშვილი, კავთელაძე, მწყერაშვილი (პ. შეყილაძე).
***გოლები:*** 0-1 კავთელაძე (59), 1-1 მეგრელაძე (73, პენ.), 1-2 კიპაროიძე (78).
***გააფრთხილეს:*** იობაშვილი, ჩიკვილაძე, ტეფნაძე, მეტრეველი.
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**დინამო (თბილისი) — სამგურალი (წყალტ) 2-2**

***დინამო:*** ზოიძე, არსოშვილი, შაშიაშვილი, ქემოკლიძე, ა. სახვაძე, გ. კვარაცხელია, კიკნაძე (მაჭავარიანი), ალექსიძე, აშვეთია (მიქაძე), გველესიანი, გონჩაროვი.
***სამგურალი:*** სტურუა, ფრანგიშვილი, თევზაძე, კოღუაშვილი, ჭელიძე, ძაგნიძე, მოსიკაშვილი (დარსაძე), გ. ვაშაკიძე, კ. ჯანაშია, ჯავახაძე, თევდორაძე (ქუთათელაძე).
***გოლები:*** 1-0 კიკნაძე (43, პენ.), 1-1 ძაგნიძე (56), 2-1 მაჭავარიანი (85), 2-2 ფრანგიშვილი (89).
***გააფრთხილეს:*** ქემოკლიძე, სახვაძე, ფრანგიშვილი.
***მსაჯი:*** თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).

**დინამო (ბათუმი) — უნივერსიტეტი (თბილ) 2-0**

***დინამო:*** ტოგონიძე, ი. მახარაძე (ღლონტი), მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე (აფხაზავა), სოლოღაშვილი.
***თსუ:*** ნიკურაძე, ყოლბაია, ვერემჩუკი, ბახტაძე (ლ. მელქაძე), სვანიძე, შალამბერიძე, გემეზაშვილი, გიორგი ქორიძე, მაზიაშვილი (რუსია), კ. მელქაძე, როსტიაშვილი (კ. მუჯირი).
***გოლები:*** მაჭუტაძე (24), თორღაშვილი (59).
***გააფრთხილეს:*** შალამბერიძე
***მსაჯი:*** სოსო კახიანი (თბილისი)

**დილა (გორი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-3**

***დილა:*** გრ. ჭანტურია (თ. ილურიძე), ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, თარხნიშვილი (ჯ. გაგნიძე), რევაზიშვილი, მარეხაშვილი (შატაკიშვილი), გ. ჩიტაია, მარღიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი.
***ვიტ-ჯორჯია:*** დ. ჯანელიძე, გ. ილურიძე, კევლიშვილი, ს. არჩვაძე ჭოხონელიძე), მ. ბურდული, ვ. ქუთათელაძე, რუხაძე (ალავიძე), მაისურაძე, ლ. ნოზაძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი.
***გოლები:*** 0-1 ქუთათელაძე (40), 0-2 ჭუმბურიძე (43), 0-3 გოჩაშვილი (54), 1-3 ჩიტაია (56), 2-3 რევაზიშვილი (67).
***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

**მარგვეთი (ზესტაფონი) — გურია (ლანჩხ) 1-1**

***მარგვეთი:*** ნიქაბერიძე, გოგაძე (მხეიძე), ჟვანია, თ. გაბრიჭიძე (კაკაბაძე), დონდაძე, სულაკაძე (ქურციკიძე), მალაღურაძე, მუმლაძე, მაღრაძე, შავგულიძე.
***გურია:*** გოგუა, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი (ხოსროშვილი), ზ. კვეკვესკირი, განევი (ჯაშიაშვილი), ჩხეტია, ბუკია, ბულუხია.
***გოლები:*** 1-0 შავგულიძე (81), 1-1 ბულუხია (84). 25-ე წუთზე კ. კვეკვესკირმა ვერ გაიტანა პენალტი.
***მსაჯი:*** თემურ მაჭარაძე (ხონი).

## მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი

კომპანია „მასტერკარდის“ ფინანსური მხარდაჭერით, 5 კონტინენტზე ჟურნალისტების ხმებით შეირჩა „საუკუნის ნაკრებები“. ამ შერჩევაში 130 ევროპელი და 105 სამხრეთამერიკელი ჟურნალისტი მონაწილეობდა. მოგვიანებით, 9 ივლისს პარიზში ამ მონაცემებზე დაყრდნობით უკვე „მსოფლიოს საერთო საუკუნის ნაკრების“ შემადგენლობა გამოცხადდება.

**ევროპა:** ლევ იაშინი (რუსეთი), ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია), ბობი მური (ინგლისი), პაოლო მალდინი, ფრანკო ბარეზი (ორივე — იტალია), იოჰან კრუიფი (ჰოლანდია), მიშელ პლატინი (საფრანგეთი), ბობი ჩარლტონი (ინგლისი), ეუსებიო (პორტუგალია), ფერენც პუშკაში (უნგრეთი), მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია).

**სამხრეთ ამერიკა:** უბალდო ფილოლი, დანიელ პასარელა (ორივე — არგენტინა), ნილტონ სანტოსი, კარლოს ალბერტო (ორივე — ბრაზილია), ელიას ფიგეროა (ჩილე), ალფრედო დი სტეფანო (არგენტინა), რიველინო, დიდი, პელე, გარინჩა (ყველა — ბრაზილია), დიეგო მარადონა (არგენტინა).

**ჩრდ. ცენტ. ამერიკა და კარიბის აუზი:** ანტონიო კარბახალი (მექსიკა), მარსელი ბალბოა (აშშ), გილბერტო იეარვუდი (ჰინდურასი), ბრიუს უილსონი (კანადა), გუსტავო პენია, რამონ რამირესი (ორივე — მექსიკა), ხორხე გონსალესი (სალვადორი), ტაბ რამოსი (აშშ), ხულიო სეზარ დელი ვალდესი (პანამა), უგო სანჩესი (მექსიკა), ერნან მედფორდი (კოსტა-რიკა).

**აფრიკა:** თომას ნ'კომო, ემანუელ კუნდე (ორივე — კამერუნი), ალი შეხატა, იბრაჰიმ იუსეფი (ორივე — ეგვიპტე), ილუნგა მვეპუ (ზაირი), სეგუნ ოდეგმბამი (ნიგერია), ტეოფილ აბუგა (კამერუნი), აბედი პელე (განა), ლორან პოკუ (კოტ დ'ივუარი), როჟე მილა (კამერუნი), რაბახ მაჯერი (ალჟირი).

**აზია და ოკეანია:** ჩოუ ჩი-კეონგი, სოხ ჩი-აუმი (ორივე — მალაიზია), კიმ ჰო-კონი (სამხრეთ კორეა), მასამი იჰარა (იაპონია), ჩენ ჩიდოი (ტაივანა), კარიმ ბაგერი (ირანი), კიმ იო-სანგი, ბუმ კუნ-ჩა (ორივე — სამხრეთი კორეა), მეჯიდ აბდულა (საუდის არაბეთი), კუნიშიგე კამამოტო (იაპონია), ხოდადად აზიზი (ირანი).

## მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

# არგენტინელები

### ომამდე

არგენტინის ნაკრები ყოველთვის შედიოდა „დიდ სამხრეთამერიკულ სამეულში". იგი მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში გამარჯვების ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა და საკმაო წარმატებითაც ითამაშა, თუმცა საკუთარი გულშემატკივრები მაინც გულნაკლული დატოვა. აქ უნდა აღინიშნოს ერთი რამ: შეჯიბრება ხომ ურუგვაიში ტარდებოდა. ადგილობრივმა მაყურებელმა კი არგენტინის ნაკრებთან ძველი არც ისე მეგობრული ურთიერთობა გაიხსენა და, შეიძლება ითქვას, მთელი შეჯიბრება კრიჭაში ედგა. უკვე პირველი მატჩში, რომელიც არგენტინელებმა მონტის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოუგეს ფრანგებს, მონტევიდეოელი ვაიგულშემატკივრები მინდორზე გადაცვივდნენ და არგენტინელებს კინაღამ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მეორე მატჩი არგენტინელებს მექსიკელებთან ჰქონდათ, ჩათვალეს, რომ იოლად მოიგებდნენ, დაასვენეს წამყვანი მოთამაშეები მონტი და ძმები ევარისტოები. მატჩი მართლაც კურიოზული გამოდგა. ბოლივიელმა მსაჯმა ულისეს სალსედომ, რომელსაც დაცინვით „პენალტების მეფეს" უწოდებდნენ, 5 თერთმეტრიანი დანიშნა. საკმაოდ იშვიათი იყო შეხვედრის შედეგიც — 6 — 3 არგენტინელების სასარგებლოდ. (არგენტინელთაგან 3 გოლი სტაბილემ გატანა, 2 — ვარელომ, 1 — სუმელსუმ.

მესამე მატჩი ჩილელებთან საკმაოდ მძიმე გამოდგა. არგენტინელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ნერვიულობდნენ და არაერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. მინდორზე წამდაუწუმ ჩხუბი ტყდებოდა. საქმეს მხოლოდ პოლიციის ჩარევამ თუ უშველა. არგენტინელებმა ბოლოს და ბოლოს, მაინც გაიმარჯვეს — 3 — 1 (სტაბილე — 2, მ. ევარისტო).

ამ სამი მოგების შემდეგ არგენტინელები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც სრულიად იოლი გამარჯვება იზეიმეს აშშ-ს ნაკრებთან 6 — 1. ორორი გოლი გაიტანეს სტაბილემ და პეუსელემ, თითო — მონტიმ და სკოპელიმ.

აი ურუგვაი — არგენტინის ფინალურ მატჩს კი „რიო დე ლა პლატასთან ბრძოლა" ეწოდა. საქმე ის იყო, რომ მეტოქეობა ამ ორ წამყვან საფეხბურთო ქვეყანას შორის 1893 წლიდან გრძელდებოდა, როცა მათი პირველი მატჩი გაიმართა. 1902 წლის 20 ივლისს მონტევიდეოში მეტად კურიოზული ანგარიში აღინიშნა — 6 — 0 სტუმრების სასარგებლოდ. შემდგომ წლებში ხან ერთი გუნდი იგებდა, ხან მეორე. ძალები, ეტყობა, გათანაბრდა. ამსტერდამის ოლიმპიადაზე ურუგვაელებმა გაიმარჯვეს, ერთი წლის შემდეგ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში — არგენტინელებმა.

ფინალური მატჩის წინ ბევრი ექსპერტი ფავორიტად მიიჩნევდა არგენტინელებს. მათ ზოგი არ ეთანხმებოდა, თვლიდნენ, რომ საკუთარ მინდორზე ძალიან ძნელი იქნებოდა ურუგვაელების ძლევა. მათ ასეთი მაგალითიც მოჰყავდათ: სამხრეთ ამერიკის იმ სამ ჩემპიონატში, რომელიც მონტევიდეოში ჩატარდა, ურუგვაელებს ერთი გოლიც არ გაუშვიათ. ახლა მატჩისათვის ინტერესი მართლაც უდიდესი იყო. ურუგვაის დედაქალაქი არგენტინელი გულშემატკივრებით გაივსო. მათ გემები და პატარა ნავებიც კი დაიქირავეს, ბილეთები მონტევიდეომდე ძალიან გაძვირდა. გემები და ნავები ისე გაჭედილი იყო, რომ ზოგი გულშემატკივარი ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო! საქმეს ართულებდა ნისლი, რომელმაც დაფარა ლა პლატას შესართავი. პოლიცია გულდასმით სინჯავდა მონტევიდეოში ჩამოსულ თითოეულ არგენტინელ გულშემატკივარს. მათ 1600 (!) რევოლვერი ჩამოართვეს. აჟიოტაჟი პირდაპირ წარმოუდგენელი იყო. ურუგვაის პოლიციის შეფმა განაცხადა, რომ სიმშვიდის უზრუნველყოფა ძალიან გაუჭირდებოდა და დახმარება სთხოვა ... არმიას. მონტევიდეოს სტადიონი 100 ათას მაყურებელს კი იტევდა, მაგრამ სიმშვიდისათვის მხოლოდ 90 ათასი ბილეთი გაყიდეს, ამასთან, 20 ათასი ადგილი არგენტინელებს დაუთმეს.

დღეისათვის შეიძლება კურიოზულადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ გარკვეული პრობლემა შეიქმნა მსაჯის საკითხის გამოც. როცა ფიფამ ბელგიელ არბიტრ ლანგენუსის კანდიდატურა შეარჩია, მისი წინაამდეგი არც ურუგვაელები იყვნენ და არც არგენტინელები, მაგრამ მის დანიშვნას არ დაეთანხმა... ბელგიის დელეგაცია! ამის მიზეზად მათ მსაჯის უსაფრთხოების საკითხი მიიჩნიეს: გაზეთები წერდნენ, რომ „მოსალოდნელია არბიტრზე თავდასხმა!" მხოლოდ უშუალოდ მატჩის წინ, როცა მონტევიდეოს გუბერნატორმა ბელგიელებს სრული გარანტია მისცა, რომ წესრიგი სანიმუშოდ იქნებოდა დაცული, ლანგენუსს მატჩის წაძღოლის ნებართვა მისცეს...

და აი, დადგა თამაშის დაწყების დრო. მსაჯს პირველი პრობლემა შეექმნა. საქმე ის იყო, რომ ორივე ნაკრებმა საკუთარი ბურთი მოიტანა და მხოლოდ იმითი მოინდომა თამაში. ლანგენუსი არ დაიბნა. მან ასე გადაწყვიტა: პირველ ტაიმში ერთი ბურთით ითამაშებდნენ, შესვენების შემდეგ კი მეორით. პოლიციელებს მიუთითეს თამაშისათვის კი არ ედევნებინათ თვალი, არამედ მაყურებლებისათვის, რათა ისინი მინდორზე არ შეჭრილიყვნენ.

გუნდების შემადგენლობები: ***ურუგვაი*** — ბალესტეროსი, ნაზაცი, მასკერონი, ანდრადე, ფერნანდესი, ჰესტიდო, დორადო, სკარონე, კასტრო, სეა, ირიარტე. ***არგენტინა*** — ბოტასო, დელატორე, პატერნოსტერი, ხ. ევარისტო, მონტი, სუარესი, პეუსელე, ვარელო, სტაბილე, ფერეირა, მ. ევარისტო.

მატჩი დაიწყო საშინელი ყვირილით: „ურუგვაი — ჰო!" „არგენტინა — არა!" ხმაური კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა დორადოს გოლმა ურუგვაელი გულშემატკივრების ნამდვილი ენთუზიაზმი გამოიწვია. მაგრამ შემდეგ მასპინძლებსაც მძიმე წუთები დაუდგათ. სტაბილემ ჩინებული გადაცემით კართან ახლოს გაიყვანა პეუსელე, რომელმაც გაათანაბრა ანგარიში. სულ მალე თვით სტაბილემ დააწინაურა თავისიანები — 2-1, ამას დიდი აყალმაყალი მოჰყვა. ურუგვაელები თვლიდნენ, რომ სტაბილე თამაშგარე მდგომარეობაში იყო. ლანგენუსმა სიმართლის გასარკვევად მოუხმო თანამსაჯ კრისტოფს, რომელმაც დაადასტურა, რომ გოლი კანონიერად ჩაითვალა. სწორედ ამ დროს გასროლა გაისმა.

— რევოლვერი?

არა, როგორც გაირკვა, ეს რაღაც თვითნაკეთი რამ იყო, რომელმაც, უბრალოდ, ხმაური გამოიწვია.

უკვე მეორე ტაიმის დასაწყისში სტაბილეს შეეძლო კიდევ ერთი ბურთის გატანა, და, შესაძლოა, ამით თამაშის ბედის გადაწყვეტაც. მან ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, რის შედეგადაც ურუგვაელები, ერთი ჟურნალისტის სიტყვით, „ათამაშდნენ, როგორც ეშმაკები". მათ სამი გოლი გაიტანეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 4-2.

არგენტინელები მეორე ადგილზე კი გავიდნენ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ასეთი შედეგი ხელს არ აძლევდათ და მსაჯი არაობიექტურობაში დაადანაშაულეს, თუმცა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ დაადასტურა, რომ ლანგენუსს არც ერთი შეცდომა არ მოსვლია. თავის გამართლებას მონტიც შეეცადა: „საშინელება ხდებოდა! ეს ხომ ფეხბურთი არ იყო! მატჩის წინ ჩვენი სასტუმროს ირგვლივ ურუგვაელმა გულშემატკივრებმა აუწერელი ყვირილი ატეხეს. ღამით ერთი წუთითაც არ გვასვენებდნენ. დაგვტანჯეს. ეს ხომ საფეხბურთო მატჩს კი არა, უფრო სიკვდილ-სიცოცხლისათვის ბრძოლას ჰგავდა"!

როცა არგენტინელები შინ დაბრუნდნენ, იქ უცნაური ამბები გაირკვა. ზოგ რეპორტიორს კი გადაუცია ბუენოს-აირესის გაზეთებისათვის პირველი ტაიმის შედეგი 2-1 არგენტინელთა სასარგებლოდ, მაგრამ საბოლოო შედეგის შეტყობინება ვერც კი გაუბედია! არგენტინელმა გულშემატკივრებმა ურუგვაის საელჩოს დარბევა დააპირეს და პოლიციამ ისინი ძლივს მოიგერია. ქვეყნებმა მკაცრი დიპლომატიური ნოტები გაცვალეს. ყოველგვარი კავშირი არგენტინისა და ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციებს შორის შეწყდა და მათმა მტრობამ, ასე გასინჯეთ, 5 წელს გასტანა.

პირველი ჩემპიონატის შემდეგ მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ოთხი არგენტინელი აღმოჩნდა. ნახევარმცველი მონტი, თავდამსხმელები პეუსელე, სტაბილე და ფერეირა.

4 წლის შემდეგ იტალიაში არგენტინის ნაკრებში არც ერთი ვიცე-ჩემპიონი აღარ თამაშობდა. მათი ნაწილი უკვე იტალიის მოქალაქე გახდა და ახალ გუნდში თამაშობდა. გარდა ამისა, არგენტინის ნაკრებს საკუთარი კლუბებიც ჩაუდგნენ კრიჭაში. ისინი თვლიდნენ, რომ თავიანთ წამყვან ფეხბურთელებს ასეთი დიდი ხნით ვერ გაანთავისუფლებდნენ. შინ დარჩნენ საუკეთესო ოსტატები: მინელა, ლაური, ბერნაბე, ფერეირა, ჩერო და სხვები. რა თქმა უნდა, ისინიც, ვინც იტალიაში გაემგზავრა, ჩინებული ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ სათანადოდ არ მომზადებულან, ნაკრები ამჯერად კოლექტივს ნამდვილად არ ჰგავდა.

ვერაფერი საქმე იყო: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა იტალიაში სულ ერთი მატჩი ჩაატარა და ისე გამოეთხოვა შეჯიბრებას. იგი ბოლონიაში შვედებთან დამარცხდა 2-3. ბელისმა ანგარიში გახსნა, მაგრამ იოჰანსონმა საპასუხო გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში კრონმა დააწინაურა შვედები, გალატუომ კვლავ გაათანაბრა, მაგრამ იოჰანსონის კიდევ ერთი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა. სუსტად ჩაატარა მატჩი. არგენტინელთა მეკარე ფრესკიმ, რომელიც დამნაშავე იყო ორ გაშვებულ გოლში.

ამ მძიმე მარცხმა არგენტინელებს აშკარად გაუნელა ინტერესი მსოფლიო ჩემპიონატებისადმი. მათ მონაწილეობა არ მიუღიათ მესამე პირველობის შესარჩევ მატჩებში, ისე კი, საფრანგეთში თავიანთი დამკვირვებლები მაინც გაგზავნეს. ისინი თვლიდნენ, რომ იქ მსაჯობა აშკარად არაობიექტური იყო, ჩაგრავდნენ სამხრეთამერიკელებს. არგენტინელებს, მოგეხსენებათ, დიდად არ უყვართ ბრაზილიელები, მაგრამ, როცა ეს უკანასკნელები ნახევარფინალში იტალიელებთან დამარცხდნენ, „რივერ პლეიტის" პრეზიდენტმა ალბერტო მარტინმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „მას შემდეგ, რაც ამ მატჩის მსაჯობა ვნახე, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენ, არგენტინელებმა, ჩემპიონატში თამაშზე უარი განვაცხადეთ".

კეთილი, მაგრამ ნურც ძველი რომაული სენტენცია დაგვავიწყდება: „იგნორირება არგუმენტი როდია!"




### ზოგჯერ იგნორირება, ზოგჯერ მარცხი

არგენტინელებმა უარი განაცხადეს ეთამაშათ მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში ტარდებოდა. იგივე გააკეთეს მათ 1954 წელსაც. ეს მაშინ, როცა ევროპაში, ძირითადად ესპანეთსა და იტალიაში არაერთი არგენტინელი ფეხბურთელი გადავიდა. თუ რატომ არ თამაშობდნენ არგენტინელები, ამაზე მათ რაიმე ლოგიკური პასუხი არ გაუციათ. რა იყო ეს, კვლავ იგნორირება?

ამდენი ხნის პაუზის შემდეგ არგენტინელები, ბოლოს და ბოლოს, ჩავიდნენ 1958 წელს შვეციაში. მაგრამ ვაი იმ ჩასვლას! უკვე პირველ მატჩში მსოფლიო ჩემპიონებთან, გფრ-ს ნაკრებთან დამარცხდნენ 1-3 (კორბატა), შემდეგ მართალია, სძლიეს ჩრდილოირლანდიელებს 3-1 (კორბატა — პენალტით, მენენდესი, ავიო), მაგრამ ამას მოჰყვა სრული განადგურება 1-6 ჩეხოსლოვაკიელებთან. ის ერთადერთი საპასუხო ბურთიც კორბატამ პენალტით გაიტანა. ამიტომ იკავებდნენ არგენტინელები თავს მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობისაგან?

არაფერი არ გაუმჯობესებულა არც 1962 წლისათვის, როცა ჩემპონატი ჩილეში ჩატარდა. 1-0 (ფაკუნდო) ბულგარელებთან, 1-3 ინგლისელებთან (სანფილიპო), 0-0 უნგრელებთან მესამე ადგილი წინასწარ ჯგუფში. ოდნავ უკეთესი შედეგი იყო ინგლისში 1966 წელს, როცა არგენტინელებმა, როგორც იყო, დაძლიეს წინასწარი ჯგუფის ჯებირი. ჯერ იყო და არტიმეს ორი გოლის წყალობით ესპანელებს სძლიეს — 2-1, ამას მოჰყვა გფრ-ს ნაკრებთან ფრე 0-0 და შვეიცარიელების დამარცხება 2-0 (არტიმე, ონეგა).


1958 წ. არგენტინა — ჩეხოსლოვაკია. ზიკანს (№12) მესამე გოლი გააქვს არგენტინელთა კარში

მეოთხედფინალში არგენტინელები ინგლისელებს შეხვდნენ და დამარცხდნენ 0-1. ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში არგენტინელ მცველ მარზოლინის, თავდამსხმელების ონეგასა და მასის გამოჩენა.

ერთი სიტყვით, ამ წლებში არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ფეხბურთში დიდი ავტორიტეტი არა ჰქონია. 1970 წლისათვის გუნდს მთლად თავსლაფი დაესხა: მან ფინალის საგზურიც კი ვერ მოიპოვა, — სამხრეთამერიკულ შესარჩევ ჯგუფში მექსიკის საგზური პერუელებს დაუთმო!

1974 წელი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. არგენტინელების ახალი სერიოზული მარცხი. ისინი იტალიელებსა, პოლონელებსა და ჰაიტელებთან ერთად აღმოჩნდნენ მეოთხე წინასწარ ჯგუფში. არგენტინელებს პორტუგალიაში მოთამაშე იასალდეს იმედი ჰქონდა, რომელმაც „ძველი კონტინენტის" ყველაზე უფრო შედეგიანი სნაიპერის ჯილდო „ოქროს ბუცი" მოიპოვა. ნაკრებში პირველ მატჩებს ატარებდა შემდგომში ესოდენ პოპულარული, მაშინ კი სულ 20 წლის მარიო ალბერტო კემპესი. დიდი საქმეა გამოცდილება! ვინც ამ მოკრძალებული ახალგაზრდის თამაშს უყურა, განა შეეძლო გამოეცნო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის გმირი, რომელიც არგენტინის სტადიონებზე დანავარდობდა? საერთო შეიძლება. მხოლოდ ის იყო, რომ ჭაბუკი კემპესიც გრძელ თმას ატარებდა. წინასწარ ჯგუფზე ცუდი მაინცდამაინც არაფერი ითქმოდა. მართალია, არგენტინელებმა პირველი მატჩი წააგეს 2-3 (გოლები არგენტინელთაგან გაიტანეს ერედიამ და ბაბინგტონმა), მაგრამ შემდეგ, იტალიელებთან შეხვედრაში ახლოს იყვნენ მოგებასთან 1-1. აქ ანგარიში ჰოუსმანმა გახსნა და რომ არა პერფიუმის ავტოგოლი... მესამე მატჩში არგენტინელებმა სძლიეს 4-1 ჰაიტელებს იასალდეს (2), ჰოუსმანისა და აიალას გოლების წყალობით და ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ, ნახევარფინალურ ფაზაში გააგრძელეს ბრძოლა. აქ მათ ჰოლანდიის, ბრაზილიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებები ელოდნენ. რომ წინასწარ სცოდნოდათ, რაც ელოდათ, შეიძლება არგასვლა ემჯობინებინათ. როცა ესოდენ ამბიციური (ასეთები კი არგენტინელები ყოველთვის არიან!) გუნდი 0-4-ს აგებს, თუნდაც მეტოქე „მფრინავი ჰოლანდიელების" გუნდი იყოს, როცა მუდმივ მეტოქეებთან — ბრაზილიელებთან მარცხდები 1-2 (ბრინდიზი), როცა გდრ-ს ნაკრებთანაც ძლივს გადაურჩები დამარცხებას — 1-1 (ჰოუსმანი).

ერთი სიტყვით, არგენტინელების მარცხს მარცხი მოსდევდა. ხომ უკვე 10 მსოფლიო პირველობა გათამაშდა. ზოგი არგენტინელებმა საკუთარი სურვილით გამოტოვეს, რაც უფრო გაქცევას ჰგავდა, ყოველგვარი ამბიციური განცხადებების მიუხედავად. უმეტეს შემთხვევაში საერთოდ ვერაფერს მიაღწიეს, თუმცა შესანიშნავი ოსტატები თითქოს არ აკლდათ (ამასთან, არაერთი არგენტინელი ხომ ესპანეთისა და იტალიის ნაკრებში გამოდიოდა). ისე რომ, მათ აქტივში ერთადერთი წარმატებაღა დარჩა — მეორე ადგილი 1930 წელს. ასეთ უფერულ შედეგებთან სრულ კონტრასტს ჰქმნიდა არგენტინელების წარმატებები. სამხრეთ ამერიკის პირველობაზე, ხშირი მოგებები ბრაზილიელებსა და ურუგვაელებთან. მიმომხილველები წერდნენ, რომ არგენტინელების პოტენცია დიდი კი იყო, მაგრამ მათი გამოვლენა, თუკი მსოფლიო ჩემპიონატებს გავითვალისწინებთ, არ ხერხდებოდა. ხომ არ შეიძლებოდა ზოგი რამ უიღბლობისათვის დაგვებრალებინა? შესაძლებელია, მცირე პროცენტით. მთავარი კი ის იყო, რომ მწვრთნელები ვერ ახერხებდნენ ნამდვილი ბრძოლისუნარიანი კოლექტივის ჩამოყალიბებას, თუმცა შესანიშნავი ოსტატები საკმაოდ ჰყავდათ, მის სათანადო მომზადებას ფსიქოლოგიური და ტაქტიკური თვალსაზრისით, რაც შეეხება ტექნიკას და ფიზიკურ მზადყოფნას, ამ მხრივ არგენტინელები, რა თქმა უნდა, არავის ჩამოუვარდებოდნენ.

ამასობაში კი ახლოვდებოდა მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატი, რომლის ორგანიზატორი თვით არგენტინა იყო.

**გივი გამრეკელი**

*(გაგრძელება იქნება)*

# FRANCE 98 INFORMATIONS

## ცნობარი საფრანგეთში ჩამსვლელთათვის

ის, ვინც საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავა, იმ 10 ქალაქზე ამომწურავ ცნობებს მიიღებს, სადაც მატჩები უნდა გაიმართოს. ყველაფერი ეს აღნუსხულია ცნობარში, რომელიც ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა და 256 გვერდისაგან შედგება.

ის კი, ვინც სახლში დარჩება, დაწვრილებით ცნობებს მსოფლიო ჩემპიონატზე ინტერნეტის ქსელით შეიტყობს.

## მილა – მრჩევლის როლში

46 წლის როჟე მილამ გადაწყვიტა დაეხმაროს კამერუნის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებაში. მილა საფრანგეთში ცხოვრობს, მონპელიეში. ერთ-ერთ სამოყვარულო კლუბს წვრთნის. სწორედ ამ ქალაქში უნდა გაიმართოს იტალიისა და კამერუნის ნაკრებების შეხვედრა. მილა ჩადის კამერუნელთა საწვრთნელ ბაზაზე, სადაც მოთამაშეებსა და მწვრთნელებს რჩევებს მისცემს.

— მაფიქრებს კამერუნის ნაკრებში შექმნილი სიტუაცია, — თქვა მილამ, — გუნდში უკვე აღარ არის სოლიდარობა, მოთამაშეებს უფრო ფინანსური პრობლემები აწუხებთ. როცა ნაკრებში თამაშობ, ფინანსურ მხარეზე არც კი უნდა იფიქრო.

## ფინალისტების ბოლო რეპეტიციები

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფინალისტები უკანასკნელ ამხანაგურ მატჩებს მართავენ. „უემბლიზე“ 53 ათასი ინგლისელი გულშემატკივარი დაჟინებით მოითხოვდა თავისი ნაკრების გამარჯვებას საუდის არაბეთის ეროვნულ გუნდთან, რომელსაც ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პერეირა წვრთნის. (წინა ჩემპიონატში სწორედ მისი მეთაურობით მოიპოვეს ბრაზილიელებმა მსოფლიოს თასი).

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელებმა მინდორზე პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანეს და მეორე ტაიმში თვით ტრავმამოშუშებული პოლ გასკოინიც დაიხმარეს, გოლის გატანა ვერა და ვერ მოახერხეს. უფრო მეტიც, სტუმრებს ორჯერ შეეძლოთ ინგლისელთა კარის დალაშქვრა და რომ არა მეკარე სიმენის თავგანწირული თამაში, გლენ ჰოდლის ნაკრები „უემბლიზე“ ზედიზედ მეორედ დამარცხდებოდა. საბოლოოდ ფრე 0-0.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

***ინგლისი:*** **სიმენი, გ. ნევილი, ჰინჩკლიფი (ფ. ნევილი), ბეტი, ადამსი, საუთგეიტი, ბექემი (გასკოინი), ანდერტონი, შირერი (ფერდინანდი), შერინგემი (რაიტი), სქოულზი.**

***საუდის არაბეთი:*** **ალ-დეი, ალ-ჯაჰნი, ალ-ხლაივი, ზებრამავი, ამინი (ალ-ტემიატი), ალ-შაჰრანი, ალ-ჯაბარი, ს. ალ-ოვაირანი (ალ-დოსარი), სულეიმანი, ალ- მუვალიდი, კ. ალ-ოვაირანი.**

**ნიუ-ჯერსიში** (აშშ) ერთმანეთს შეხვდნენ კოლუმბიისა და შოტლანდიის ნაკრებები. სქოთებმა მინდორზე ქვეყნის ახალი ჩემპიონის „სელტიკის“ ერთდროულად შვიდი ფეხბურთელი გამოიყვანეს.



*რინკონმა კოლუმბიელები წაგებას გადაარჩინა.*

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, დაახლოებით თანაბარ ორთაბრძოლაში, რაც ანგარიშშიც აისახა. ჯერ სამხრეთამერიკელთა გუნდის კაპიტანმა კარლოს ვალდერამამ პენალტი შეაგდო, მერე „მონაკოს“ ნახევარმცველმა ჯონ კოლინზმა გაიტანა. საპასუხო ბურთი სელტიკელმა კრეიგ ბარლიმ პირველსავე ტაიმში დააწინაურა თავისიანები. კოლუმბიელები მარცხისაგან ფრედი რინკონმა იხსნა — მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მან ასპრილიას ფლანგური გარღვევა უვნებელჰყო. ფრე — 2-2.

გუნდების შემადგენლობები:

***კოლუმბია:*** **კადერო, კორდობა, სანტა, ბერმუდესი, კაბრერა, სერნა, ლოზანო, ვალდერამა, რინკონი, ვალენსია, ასპრილია.**

***შოტლანდია:*** **სალივანი, მაკნამარა (მაკინლი), ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, დეილი, ბარლი, კოლინზი, ლამბერტი, დიური (ოდონელი), ჯეკსონი (ბუთი).**

***სხვა მატჩები:*** **ირლანდია — მექსიკა 0-0, „გრასჰოპერსი“ — ნიგერია — 4-0, არგენტინა — სამხრეთ აფრიკა — 0-2.**

## ჟაკემ არჩევანი გააკეთა, იბრაჰიმ ბა და... ანელკა თამაშგარე დატოვა

საფრანგეთის ნაკრებს მონდიალის ფავორიტებში ასახელებენ, ამიტომ ყველა ინტერესით ელოდა, თუ რომელ ფეხბურთელებზე გააკეთებდა თავის არჩევანს მთავარი მწვრთნელი ემე ჟაკე. და აი, ფრანგთა თავკაცმა 22 მოთამაშის ვინაობა დაასახელა: ***მეკარეები*** — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ბერნარ ლამა (ვესტ ჰემი), ლიონელ შარბონიე (ოსერი); ***მცველები*** — ლორან ბლანი (მარსელი), ვინსენ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ფრანკ ლებიოფი (ჩელსი), ბიქსენტ ლიზარაზიუ (ბაიერნი), ლილიან ტიურამი (პარმა); ***ნახევარმცველები*** — ალენ ბოგოსიანი (სამპდორია), დიდიე დეშამპი (იუვენტუსი), კრისტიან კარამბე (რეალი), ემანუელ პეტი, პატრიკ ვიეირა (ორივე — არსენალი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი); ***თავდამსხმელები*** — ბერნარ დიომედი (ოსერი), იური ჯორკაეფი (ინტერი), კრისტოფ დიუგარი (მარსელი), სტეფან გივარში (ოსერი), ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგი (ორივე — მონაკო), რობერ პირესი (მეცი).

როგორც ხედავთ, ნაკრებში ვერ მოხვდნენ საბრი ლამუში, იბრაჰიმ ბა, მარტინ ჟეტუ და რაც უფრო საკვირველია, „არსენალის“ უნიჭიერესი ახალგაზრდა თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა.

## ყველა ბილეთი გაიყიდა

22 აპრილიდან მოყოლებული ფრანგებმა სპეციალური სატელეფონო ხაზით მოაწყეს მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების გაყიდვა. ერთ ადამიანს 4 ბილეთის შეძენა შეეძლო. 90-მა მუშაკმა აღნიშნა 20 მილიონი სატელეფონო ზარი. ერთი თვეც არ იყო გასული, როცა აღინიშნა — ყველა ბილეთი გაიყიდა ისე, რომ სტადიონებზე იქ დასწრების მსურველთა მხოლოდ შეზღუდული ნაწილი თუ მოხვდება.

## ტრაპატონი „ფიორენტინაშია“

59 წლის ცნობილმა იტალიელმა საფეხბურთო სპეციალისტმა *ჯოვანი ტრაპატონიმ,* გასულ კვირას, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერთან ორსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ ოფიციალურად განუცხადა ჟურნალისტებს — გერმანიას ვტოვებ და სამშობლოში ვბრუნდებიო.

ტრაპატონი უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა — მან ფლორენციულ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იმავდროულად გამოაცხადა, რომ „ფიორენტინას“ ტოვებს მისი მთავარი დამრტყმელი ძალა არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა — იგი რომის „ლაციოში“ გადადის ალან ბოკშიჩის ნაცვლად (ხორვატი თავის მხრივ „მილანში“ იასპარეზებს).



## „დინამოს“ პოტენციური მეტოქეები

**მიიწურა სეზონი, გულშემატკივრებს თითქოს პატარა შესვენება „ერგებათ“, მაგრამ არა — საფეხბურთო სამყარო საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატისა და ევროპის მომავალი საფეხბურთო კლუბური ტურნირების მოლოდინშია. ცხადია, ქართველებს, პირველ ყოვლისა, გვაინტერესებს, სავარაუდოდ, თუ რომელი კლუბები გაუწევენ თბილისის „დინამოს“ მეტოქეობას ჩემპიონთა ლიგაში.**

### ჩემპიონთა ლიგა – 98/99

**ესპანეთი:** რეალი, ბარსელონა, ატლეტიკო (ბილბაო)
**იტალია:** იუვენტუსი, ინტერი
**გერმანია:** კაიზერსლაუტერნი, ბაიერნი
**საფრანგეთი:** ლენცი, მეცი
**ჰოლანდია:** აიაქსი, პსვ ეინდჰოვენი
**ინგლისი:** არსენალი, მანჩესტერ იუნაიტედი
**პორტუგალია:** პორტო, ბენფიკა
**საბერძნეთი:** ოლიმპიაკოსი, პანათინაიკოსი
**ჩეხეთი:** სპარტა (პრაღა)
**ნორვეგია:** რუსენბორგი
**ავსტრია:** შტურმი (გრაცი)
**რუსეთი:** სპარტაკი
**ხორვატია:** კროაცია
**თურქეთი:** გალათასარაი
**დანია:** ————————
**შვეიცარია:** გრასჰოპერსი
**უკრაინა:** ————————
**პოლონეთი:** ლკს
**უნგრეთი:** მტკ
**ბელგია:** ბრიუგე
**სლოვაკეთი:** კოშიცე
**რუმინეთი:** სტიაუა
**შვედეთი:** ჰალმსტადი
**საქართველო:** დინამო (თბილისი)
**კვიპროსი:** ანორთოსისი
**შოტლანდია:** სელტიკი
**ისრაელი:** ბეითარი (იერუსალიმი)
**სლოვენია:** მარიბორი
**ბელარუსი:** დინამო (მინსკი)
**ისლანდია:** ვესტმანეიჯერი
**ფინეთი:** ჰიკი (ჰელსინკი)
**ლატვია:** სკონტო
**ბულგარეთი:** ცსკა
**მაკედონია:** ————————
**ლიტვა:** ————————
**იუგოსლავია:** ობილიჩი
**მოლდოვა:** ————————
**ლიხტენშტეინი:** ————————
**ესტონეთი:** ფლორა
**სომხეთი:** ერევანი
**ჩრდ. ირლანდია:** კლეფტონვილი
**მალტა:** ლა-ვალეტა
**უელსი:** ბარი თაუნი
**ირლანდია:** წმ. პატრიკი
**ფარერები:** ბ-36
**ალბანეთი:** ვილაჟნია შკოდარი
**ლუქსემბურგი:** ჟიუნესი
**აზერბაიჯანი:** ქიაფაზი
**ანდორა:** ————————

***შენიშვნა:*** *ზოგ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატები ჯერ არ დასრულებულა.*

# გადატრიალება

**საფრანგეთის ჩემპიონატი**

**ფრანგულ ფეხბურთში ნამდვილი გადატრიალება მოხდა: ჩემპიონის წოდება დარჩა არა რომელიმე დიდ კლუბს, არამედ ნაკლებად ცნობილ პროვინციულ „ლანსს“. ეს მით უმეტეს გასაოცარი მოვლენაა, რომ უკანასკნელი ათი სეზონის მანძილზე „ლანსი“ მხოლოდ ერთხელ მოხვდა პირველ ათეულში, ახლა კი...**

ახალ ჩემპიონს დანიელ ლეკლერკი წვრთნის. იგი ოდესღაც თვით თამაშობდა „ლანსში“, შემდეგ პატარა რესტორანი იყიდა, ბოლოს კი ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდს ხელმძღვანელობდა. პირველ დივიზიონში სულ ერთი წლის მუშაობას კი ასეთი დიდი წარმატება მოჰყვა. ჩემპიონატის მსვლელობისას თანდათან გამოირკვა, რომ „ლანსს“ შეეძლო კონკურენცია გაეწია ისეთი დიდი კლუბებისათვის, როგორიცაა „პარი სენ-ჟერმენი“, სადაც გამოდიოდნენ ცნობილი ოსტატები რაი (ბრაზილია), სიმონე (იტალია), მორისი, „ოლიმპიკი“ (მარსელი), კეპკეთი (გერმანია), რავანელი (იტალია), ბლანით („მონაკო“) — საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელ ტრეზეგეთი და ნიგერიელი იკპებათი. პარიზელები ფინიშზე საგრძნობლად ჩამორჩნენ, „მონაკომ“ და „ოლიმპიკმაც“ უკან დაიხია. დარჩა ჩემპიონობის ორი პრეტენდენტი. „მეცი“, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ მომძლავრდა და „ლანსი“.

საბოლოოდ „ლანსმა“ და „მეცმა“ 68-68 ქულა მოაგროვეს, მაგრამ უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი ადგილი „ლანსს“ დარჩა. ამასთან, ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა. ეს უდიდესი წარმატებაა როგორც „ლანსის“, ისე „მეცისათვის“.

„ლანსმა“ 34 მატჩიდან 21 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 8 წააგო, ბურთების სხვაობაა 55-30. მწვრთნელმა ლეკლერმა სულ მოკლე დროში საინტერესო ანსამბლი ჩამოაყალიბა. ფეხბურთელთაგან ყველაზე უფრო ცნობილია იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელი, ჩერნოგორიელი ანტონ დრობნიაკი, რომელიც ადრე წარმატებით თამაშობდა კორსიკულ „ბასტიაში“. ამ აგრესიულმა ფორვარდმა, რომელიც ადრე გამოირჩეოდა ფრანგულ ლიგაში, 14 გოლი გაიტანა. თავდასხმაში კარგად თამაშობდნენ აგრეთვე გარემარბები ვრეი, რომელმაც ათი გოლი გაიტანა და ევროპის პირველობის მონაწილე ჩეხი შმიცერი. სხვა ფეხბურთელებიდან კარგად წარმართეს სეზონი კამერუნელმა ფოემ და გუნდის დირიჟორმა ზიანიმ, რომელიც, ასევე ათი გოლის ავტორი გახდა.

ვიცე-ჩემპიონ „მეცის“ შემადგენლობაში შედეგიანობით გამოირჩეოდნენ როდრიგესი (13 გოლი) და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი პირე (მეცი). მიმომხილველთა აზრით, შარშანდელ ჩემპიონ „მონაკოს“ უკეთ უნდა ეთამაშა; ამ გუნდში ჩინებულად თამაშობდნენ თავდამსხმელები ტრეზეგე (18 გოლი) და იკპება (16), მაგრამ მოიკოჭლებდა დაცვა. იგივე ითქმის მარსელის „ოლიმპიკზე“, რომელსაც ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. რა თქმა უნდა, არაბუნებრივია, რომ გუნდის №1 სნაიპერი გახდა ცენტრალური... მცველი ბლანი, რომელმაც 11 გოლი გაიტანა. მას ერთი ბურთით ჩამორჩა ცნობილი ფორვარდი გრავლენი, ორით — განთქმული რავანელი, რომელიც მარსელში ინგლისური „მიდლსბროდან“ გადავიდა. რა თქმა უნდა, მომავალში „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელობას რავანელის მეტი იმედის აქვს — მან ხომ ამ გუნდში მხოლოდ ნახევარი სეზონი გაატარა.

მეშვიდე ადგილი „ოსერისათვის“, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ საფრანგეთის ჩემპიონი იყო, ვერაფერი შედეგია. ამ გუნდში მხოლოდ ცნობილმა სნაიპერმა სტეფან გივარკმა ისახელა თავი, რომელიც 21 გოლით №1 სნაიპერი გახდა და ამით ეროვნულ ნაკრებშიც განიმტკიცა ადგილი. არის ცნობა, რომ ამ წარმატების შემდეგ პატარა ქალაქი ოსერი გივარკისათვის შეუფერებელი ადგილი იქნება და იგი უკვე მიუნხენის „ბაიერნში“ გადაინაცვლებს. პოპულარული „პარი სენ-ჟერმენის“ თამაშისაგან ორგვარი შთაბეჭდილება დარჩა. გუნდმა რამდენიმე მატჩის შემდეგ თითქმის დაჰკარგა ინტერესი ჩემპიონატისადმი და საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ იგი წარმატებით თამაშობდა სათასო ტურნირებში, მოიგო ერთბაშად ორი: საფრანგეთის თასიც და ლიგის თასიც. მართალია, ამან ვერ იხსნა გუნდის ბრაზილიელი მწვრთნელი რიკარდო (მან ესპანეთში გადასული ლუის ფერნანდესი შეცვალა). უკანასკნელი ცნობებით, რიკარდოს მწვრთნელის პოსტზე ახლო წარსულში პოპულარული ფეხბურთელი ჟირესი შეცვლის, რომელიც ბოლო ხანებში „ტულუზაში“ მუშაობდა. „ტულუზა“ პირველი დივიზიონიდან კინაღამ გავარდა, მაგრამ ამას ჟირესის რეპუტაციაზე არ უმოქმედია.

მაშ ასე, „ლანსი“ და „მეცი“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, „პარი სენ-ჟერმენი“ — თასების თასზე, „მონაკო“, მარსელის „ოლიმპიკი“, „ჟირონდა“ (ბორდო) და „ლიონი“ — უეფას თასზე, „ოსერი“ „ინტერტოტოზე“. პირველ დივიზიონს დატოვებენ „შატორუ“ (რომელიც ამ სეზონში გადმოვიდა დაბალი ეშელონიდან, აგრეთვე „კანი“ და „გენგამი“.

გივი თორელი

# FRANCE 98 INFORMATIONS



## ბუნდესლიგელები თადარიგს იჭერენ

„კარლსრუეს“ ბუნდესლიგიდან გავარდნის შემდეგ გუნდის ფორვარდმა შონ დანდიმ განაცხადა, რომ აუცილებლად დატოვებდა კლუბს. ახლახან კი შონ დონდიმ თვით სახელოვანი „ლივერპულიდან“ მიიღო მოწვევა, რასაც სიამოვნებით დასთანხმდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გაგერმანებული სამხრეთაფრიკელი ამჯერად უკვე ბრიტანეთს მიაშურებს. ახლა, რაც შეეხება მოწინავე გუნდებს. მიუნხენის „ბაიერნმა“ 3,2 მილიონ დოლარად შეიძინა ირანის ეროვნული გუნდის ფორვარდი ალ დაეი. „კაიზერსლაუტერნმა“ კი ეგვიპტელი მცველი სამილ კადუნა გადაიბირა (თავისუფალი აგენტი), რომელიც ალბათ ჩეხი მიროსლავ კადლეცის შემცვლელად მოევლინება გერმანიის ჩემპიონს. შეგახსენებთ, რომ მიროსლავ კადლეცმა, რომელიც 22 ივნისს 30 წლის გახდება, რვა სეზონი გაატარა „კაიზერსლაუტერნში“. მანამდე ის მშობლიურ „ვიტკოვიცეში“ თამაშობდა, ახლა გადაწყვიტა სამშობლოში დაასრულოს კარიერა, ოღონდ „პეტრა დრნოვიჩეში“. ტრიუმფატორ ოტო რეჰაგელს თავდასხმის ხაზშიც სურს ცვლილებების შეტანა და ერთობ მოწადინებულია თურქული წარმოშობის შვეიცარიელის კუბილაი თურქ-ლმიზი გადმოიბიროს „გრასჰოპერსიდან“.

***სურათზე:*** *21 წლის მიროსლავ კადლეცი „ვიტკოვიცეს“ მაისურში (ფოტო „ლელოს“ არქივიდან).*

## ფოტოგამოცანა

**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!** გთავაზობთ ამჟამად და ახლო წარსულში იტალიის სერია „A“-ში მოთამაშე ცნობილ ფეხბურთელთა ფოტოსურათებს. ვისი პასუხიც პირველი მოვა რედაქციაში, ან დაგვირეკავს ტელეფონით 99-56-14, 99-81-71 (29 მაისის 12 საათამდე), დაჯილდოვდება ფერადი პლაკატ-კალენდრით **«FRANCE-98»**




## სხვადასხვა მერიდიანზე

**ჩოგბურთი.** გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება გუნდურ ჩათვლაში. ფინალში ერთმანეთს გერმანიისა და ჩეხეთის გუნდები შეხვდნენ. გერმანელმა ჰაასმა 6:1, 6:4 მოუგო ჩეხ დოსედელს, ხოლო მისმა თანამემამულე კიფერმა — ცნობილ ჩოგბურთელ კორდას 7:5, 6:3. მსოფლიო თასი გერმანელებმა მოიპოვეს.

პარიზში კი დაიწყო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი („როლან გაროსი“). მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სამპრასმა სძლია მარტინს, ავსტრალიელმა რაფტერმა — ფრანგ ლაროს, ჩილელმა მარსელო როსმა — ახალზელანდიელ სტივენს, ბელგიელმა ვან ჰერკმა — ინგლისელ რუზედსკის, ავსტრიელმა მუსტერმა — შვედ ბიორკმანს, ავსტრიელმა ვუდბრიჯმა — ჩეხ კუჩერას.

ქალთა შორის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა დაამარცხა ესპანელი მარია სანჩეს ლორენცო.

**ველოსპორტი.** იტალიაში მიმდინარეობს ე.წ. „ჯირო დ'იტალიის“ ტურნირი. ბოლო ეტაპზე, რომელიც გაიმართა აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთით (ქალაქ ლეჩესთან), დასრულდა იტალიელთა ტრიოს გამარჯვებით. პირველი ჩემპიონი იყო, მეორე — მარტინელო. მესამე — ლეონი. საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გერმანელი ზულეა, მეორეზე — იტალიელი ბარტოლი, მესამეზე — ფრანგი ლებლანი, მეოთხეზე — რუსი ტონკოვი, მეხუთე და მეექვსეზე იტალიელები — სავოლდელი და პანტანია.



*„ჯირო იტალია“. გადაუსწრებს ბარტოლი (მარცხნივ) პანტანის?*

**კეტბურთი.** „სან ფრანსისკო ჯაიანთზი“ ანგარიშით 10-11 დამარცხდა „სენტ ლუის კარდინალთან“, „დეტროიტმა“ მოუგო „ჩიკაგო ვაით სოქს“, „პიტსბურგმა“ — „ფლორიდას“ 10-4. „ბალტიმორმა“ 9-1 სძლია „ოკლენდს“.

**კალათბურთი.** „იუტა ჯაზმა“ მეოთხე. შეხვედრაც მოუგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ და ნბა-ს ფინალში გავიდა. სერიის ანგარიშია 4-0. მეორე, აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში „ჩიკაგო ბულზსა“ და „ინდიანა პეისერზს“ შორის ჯერჯერობით ანგარიშით 2-1 წინ არიან ხარები.

**ჰოკეი.** ნჰლ-ში დაიწყო კონფერენციების ფინალები. ფავორიტებმა პირველი შეხვედრები მოიგეს. აღმოსავლეთის ფინალში „ბუფალო სეიბრზმა“ 2-0 სძლია „ვაშინგტონ კაპიტალს“. შაიბები შატანმა და გროშეკმა გაიტანეს. ბუფალოელთა კარში კვლავ ბრწყინვალედ იდგა ჩეხი მეკარე დომენიკ ჰაშეკი. დასავლეთ კონფერენციის ფინალში „დეტროიტ რედ ვინგზმა“ ასევე 2:0 სძლია „დალას სთარზს“. შაიბები კოზლოვის და ლაპოინტის ანგარიშზეა. სტენლის თასის შარშანდელი მფლობელები დეტროიტელები, სადაც ბევრი რუსი ჰოკეისტი გამოდის, წელსაც ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ. „ვაშინგტონ კაპიტალმა“ მეორე მატჩი მოუგო „ბუფალოს“ 3:2 და სერიაში ანგარიში გათანაბრდა 1:1.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ახალი ამბები

● პორტუგალიის თასის ფინალში „პორტომ“ 3-1 სძლია თბილისის „დინამოს“ ყოფილ მეტოქეს „ბრაგას“ და დაეუფლა ქვეყნის თასს. ეს „პორტოს“ მეცამეტე გამარჯვებაა პორტუგალიის თასის გათამაშებაში. შეხვედრაში „პორტოს“ მხრიდან გოლები გაიტანეს ბრაზილიელებმა ალოიზიომ, ჟარდელმა და არტურმა.

● იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში კი ჩეხეთის ნაკრებმა ფრედ 0-0 ითამაშა იაპონიის ეროვნულ გუნდთან და კირინის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა (4 ქულა), მეორეა იაპონია (2), მესამე – პარაგვაი (1).

● აშშ-ს ქალაქ პორტლენდში გაიმართა ამხანაგური შეხვედრა, სადაც აშშ-ს ნაკრები კუვეიტის გუნდს შეხვდა. მასპინძლებმა 2-0 გაიმარჯვეს. ანგარიში აჩიკო არველაძის ბრედელმა თანაკლუბელმა ერნი სტიუარტმა გახსნა, ხოლო ტედი რამოსმა მეორეც მიაყოლა.

● იტალიაში, მილანის „ინტერმა“ ანგარიშით 1-4 მოულოდნელად წააგო ირანის ნაკრებთან. მილანელთაგან რეკობამ გამოიჩინა თავი, ხოლო აზიელთაგან გოლები ალი დაეიმ (ორი), ქარიმ ბაგერიმ და მაჰდავიმ გაიტანეს.

● კამერუნის ნაკრების ნახევარმცველმა, საფრანგეთის ჩემპიონის „ლანის“ მოთამაშე ფოემ მსოფლიო ჩემპიონატის წინამოსამზადებელ ვარჯიშისას მძიმე ტრავმა მიიღო და მონდიალზე თამაში სათუოა.

● ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართა მატჩი პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში გადასვლის გამოსარკვევად. „ჩარლტონ ატლეტიკსმა“ პენალტების სერიით 7-6 სძლია „სანდერლენდს“. ძირითადი და დამატებითი დრო 4-4 დასრულდა. დრამატული მატჩის შემდეგ „ჩარლტონ ატლეტიკსის“ მწვრთნელმა კერბიშლიმ თქვა, რომ წაგება ასეთ მატჩში ძალზე ტრაგიკულია. „სანდერლენდის“ მწვრთნელმა პეტერ რეიდმა (ყოფილი „ევერტონის“ და ინგლისის ნაკრების მოთამაშე) კი აღნიშნა, რომ მართალია შოკირებულია, მაგრამ ბედნიერია, რომ მისმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა.

**მოამზადა ბია ახალაძემ**



## სპორტზე, მეგობრებზე და საკუთარ თავზე...

# „თაფლკვერიც არის და მათრახიც“

**გაზეთმა „შპიგელმა“ ინტერვიუ ჩამოართვა ფიგურული ციგურაობის ყველა დროის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ვარსკვლავს კატარინა ვიტს. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს.**

● ***1984 წლის შემდეგ თქვენ პირველად უყურეთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს მხოლოდ ტელევიზიით...***

— ვფიქრობ, დგება მომენტი, როცა ოლიმპიური მედლების სიკაშკაშე აღარ გაინტერესებს. იაპონიაში რატომ გავიქცეოდი, როცა უფრო მნიშვნელოვანი რამ მქონდა საკეთებელი: პარიზში რობერტ დე ნიროსთან ერთად მიღებენ ფილმში.

● ***რომანტიულსიუჟეტიანი სურათია?***

— როცა მსახიობების ასეთი შემადგენლობაა, მაშინვე უნდა სთქვა „დიახო“. მე რუს ფავორიტ ქალს ვთამაშობ, რომელიც ფიგურისტი ხდება.

● ***რას იტყოდით ფიგურისტობაზე?***

— ფიგურისტი მარტო სპორტსმენი როდია. მის უკან მარტო ოფლი და ცრემლები, რომანტიკული ორეული და ტრაგედია არ დგას. ფიგურისტს თითქოს სივრცეში ადგილი სპორტსა და გართობას შორის უჭირავს.

● ***დღეისათვის ფიგურულ სრიალში მომხდარი ყველაზე საინტერესო ისტორიაა შემთხვევა, როცა მშვენიერ ნენსი კარიგანს გაბოროტებული ტონი ჰარლინგის მეგობრებმა რკინის წნელით აუჭრელეს მუხლები...***

— ჩვენთვის, სპორტსმენებისათვის, ეს ზებანალური „გასაპნული ოპერა“ გახლავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ 4 წლის შემდეგაც კი ის ტელევიზიით საჩვენებლად ყველაზე მომგებიანად გამოიყურება. ამერიკულმა ტელესადგურმა „ფოქსმა“ ამ თავდასხმის შემდეგ პირველად დასვა გვერდიგვერდ ორივე კამერის წინ. ტონის უნდოდა პატიება ეთხოვა ნენსისათვის, მაგრამ ეს როგორღაც ულიმღამოდ გამოვიდა.

● ***რამ შეასრულა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ თქვენ ასეთი პოპულარული გახდით აშშ-ში — თუკი შევეშვებით თქვენს იმიჯს „სოციალიზმის ყველაზე ლამაზი სახისა“?***

— ყოლველთვის კატარინად ვრჩებოდი, რომელიც აღმოსავლეთიდან ჩამოდის და სულაც არ გამოიყურება ისე, როგორც წარმოედგინათ ამერიკელებს გდრ-ის სპორტსმენი ქალები. მათ უსამართლოდ მიიჩნევდნენ „სპორტულ დედაკაცებად“, კარადასავით განიერებად და სიტყვაძუნწებად, მე, პირიქით, ვცდილობდი ხალხთან ახლოს და ურთიერთობისათვის გახსნილი ვყოფილიყავი. ჟურნალ „პიპლის“ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ მოულოდნელად უჩვენა, რომ ამჟამად ცოცხალ გერმანელ ქალთაგან ყველაზე ცნობილი და რაღაც მისტიკური არსების მსგავსი ვყოფილვარ.

● ***უარს იტყოდით, თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ, როგორც ოქსანა ბაიულს შესთავაზეს, პროფესიულ მუშაობაზე ხელშეკრულება წელიწადში ორმილიონდოლარიანი ანაზღაურებით?***

— ოქსანამ 16 წლისამ მოიგო ოლიმპიური ოქრო და მაშინვე პროფესიულ სპორტში აღმოჩნდა. ამ ასაკში ჯერ კიდევ ფიქრობ — ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, მხოლოდ მძიმე ვარჯიშია. აი, მესამე ათეულის შუაში კი გრძნობ, როგორ აგტკივდა მთელი სხეული. სპორტი „თაფლკვერიც არის და მათრახიც“. ნებაყოფლობით მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე ასრულებ ამ მძიმე სამუშაოს.

● ***თქვენ ერთხელ საიდუმლო სამსახურმა ინტიმურ მომენტში მოგაყურადათ, როცა ამერიკელ მეგობართან იმყოფებოდით ოტელის ნომერში. „შტაზიმ“ მონიშნა, რომ ეს იყო შეიდწუთიანი ხანგრძლივობის აქტი...***

— იმათ მოეჩვენათ ინტიმური მომენტი; კერძოდ, იმიტომ, რომ ინგლისური ენის პრობლემას წააწყდნენ. ნომერში ჩვენი ყოფნისას ორიოდე წუთით შევწყვიტეთ საუბარი. მოყურადებულებმა იგივე დაასკვნეს — აი, ხედავთ, ახლა ისინი „საქმეს“ შეუდგნენ...



*1984 წ. სარაევო, კატარინა ვიტი XIV ოლიმპიურ თამაშებზე*

● ***პირველ ყოვლისა, გდრ-ში სპორტის მაშინდელ სისტემას უნდა უმადლოდეთ იმას, რაც ახლა ხართ... შეძლებთ ოდესმე გამოეთხოვოთ თქვენს ძალიან ფეხსაცმელებსა და ციგურებს?***

— ციგურებიან ფეხსაცმელს ჯოჯოხეთური წამება მოაქვს. ისეთი მაგრებია და ისე მჭიდროდ შემოსალტული, რომ ჩვენი ფეხები, როგორც ნაცარქექიაზე ზღაპარში, მუდამ დასისხლიანებულია; და მაინც, ციგურებთან გამოთხოვებას არ ვაპირებ. ეს ისე გამომდის, როგორც იმ მამაკაცს, რომელსაც ცოლის მოყვანა არ სურს და დაუჟინია: მაშინ ხომ ჩემი ბერბიჭული ცხოვრებაც დამთავრდებაო. უცოლო კაცის ცხოვრება კი ახალგაზრდობას, თავისუფლებასა და უზრუნველობას ნიშნავს...

**თარგმნა თამაზ ებანოიძემ**

## პრეტენდენტების ფინალური მატჩი კრამნიკი - შიროვი

**ესპანურ ქალაქ კასორლაში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ვლადიმირ კრამნიკისა და ალექსეი შიროვის ფინალური მატჩის დაწყებასთან დაკავშირებით საჭადრაკო მიმომხილველები ამ გამოჩენილი დიდოსტატების შესახებ ბევრ საყურადღებოს გვატყობინებენ. დღეს გავეცნოთ მეტოქეების ბოლო ინტერვიუებს.**

### ვლადიმირ კრამნიკი

● ***შიროვს უკანასკნელ ორ პარტიაში ლინარესის საერთაშორისო ტურნირში შეხვდით.***

— ეს პარტიები ჩემთვის წარუმატებლად წარიმართა. პირველ პარტიაში დიდი უპირატესობა მქონდა და მაინც ვერ მოვიგე. მეორეში წავაგე, თუმცა არა მხოლოდ თანაბარი, არამედ სრულიად საყაიმო პოზიციაც კი მქონდა.

● ***ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ შიროვთან ისე კი არ თამაშობდით, როგორც პოზიცია მოითხოვს, არამედ განწყობილებას აჰყევით, თითქოს გადაწყვიტეთ, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაინც გაგემარჯვათ.***

— არა, ასე არ ყოფილა. უბრალოდ, იმ დღეს ცუდად ვგრძნობდი თავს, რაღაც მომენტში საკმაოდ მოუფიქრებელი სვლებიც კი დავიწყე. ისიც აღარ ვიცოდი: მოგებისაკენ მივისწრაფოდი, თუ ყაიმისაკენ. ალბათ, დაღლამაც იმოქმედა, მანამდე მეტად დაძაბული შეხვედრები მქონდა.

● ***ახლა მასთან მატჩი გაქვთ.***

— მასთან თამაშს არ ვაპირებდი, ეტყობა არც ის აპირებდა. მატჩი ინტერესს ნამდვილად იწვევს, მაგრამ ანანდთან შეხვედრა მაინც სულ სხვა იქნებოდა, მეტად მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა. ახლაც ვთვლი, რომ ანანდთან ერთად გავუსწარით დანარჩენ პრეტენდენტებს. ჩვენს წინ მხოლოდ კასპაროვია. რაც შეეხება შიროვთან მატჩს — იგი ბოლო ხანებში ძალიან კარგად თამაშობს, ზოგჯერ შესანიშნავადაც კი, და, იმსახურებს კიდეც ფინალურ მატჩში მონაწილეობას. მაგრამ მისი წარმატებები მაინც არ შეიძლება შევადაროთ ანანდისას.

● ***როგორ აფასებთ თქვენს შესაძლებლობებს შიროვთან მატჩში?***

— როგორც უკეთესს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკეთ ვთამაშობ.

● ***დიახ, მაგრამ თქვენ ხომ მასთან უარყოფითი ანგარიში გაქვთ? (19 პარტიაში შიროვმა მოიგო 6, წააგო 4, ცხრა ყაიმით დასრულდა).***

— მან ორი პარტიით მეტი მოიგო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ამ მატჩში ჩემთვის საკმარისი იქნება ერთი ქულის უპირატესობით მოგება.

### ალექსეი შიროვი

● ***ტილბურგის შარშანდელ ტურნირში არც ისე კარგი გამოსვლის შემდეგ აღმავლობა დაგეწყოთ. ეს იგრძნობოდა ბელგრადში, გრონინგენშიც და ვეიკ-ან-ზეეშიც.***

— ვფიქრობ, რომ აღმავლობა უფრო ადრეც დამეწყო. შარშანდელ ლინარესში მარცხიანი თამაშის შემდეგ, სერიოზული დასკვნები გამოვიტანე და უფრო პროფესიულად დავიწყე მუშაობა. შარშანდელი

იხ. მე-8 გვ.

## ფორმულა-1: ვინ შეაჩერებს ჰაკინენს?



ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ფინელი მრბოლი მიკა ჰაკინენი ასე წარმატებით გამოვიდოდა. გასულ კვირას მან მორიგი გამარჯვება იზეიმა — მონტე-კარლოს მორიგ ეტაპზე „მონაკოს დიდი პრიზი მოიპოვა". ამ სეზონში ეს უკვე მისი მეოთხე გამარჯვებაა, რამაც კიდევ უფრო დააწინაურა პირად ჩათვლაში. მეორე იყო იტალიელი ფიზიკელა, მესამე — ბრიტანელი ირვინი.

გუნდურ ჩათვლაში კარგად იასპარეზეს „ეროუზის" პილოტებმა (4 ჩასათვლელი ქულა). კვლავ არ გაუმართლა „ფერარის" და მის ლიდერ გერმანელ მიხეილ შუმახერს, რომელმაც მხოლოდ მეათე შედეგი აჩვენა, არადა, რბოლის დაწყებამდე იგი საქვეყნოდ აცხადებდა — „დარწმუნებული ვარ გამარჯვებაში, „მაკლარენს" და მის პილოტებს მონტე-კარლოში კარგი დღე არ დაადგებათო".

*სურათზე: ჰაკინენი რბოლის ეტაპზე გამარჯვების შემდეგ*

## პრეტენდენტების ფინალური მატჩი
## კრამნიკი – შიროვი

*(მეშვიდე გვერდიდან)*

წლის მაისის ბოლოსათვის მე სრული მზადყოფნა მქონდა, 1-2 ადგილები გავინაწილე ტოპალოვთან მადრიდში. აქ კი, პროფესიონალი მოჭადრაკისათვის მიუტევებელი შეცდომა მომივიდა, 4 თვის განმავლობაში სერიოზულ ტურნირში არ მითამაშია. დიახ, სწრაფი ჭადრაკის შეჯიბრებაში ვმონაწილეობდი, თეორიულადაც ვმეცადინეობდი, ბევრს ვისვენებდი, მაგრამ ნორმალური რიტმი დავკარგე. ყველაფერი ეს ტილბურგში შემეტყო კიდეც. შემდეგ პროფესიულ რეჟიმს დავუბრუნდი და იქიდან მოყოლებული, ყველაფერი კარგად მიდის. ვნახოთ, რა მოხდება შემდეგ...

● ***რას იტყვით კრამნიკთან მატჩზე?***

— კრამნიკი, რა თქმა უნდა, ღირსეული მეტოქეა, მაგრამ მას არა ვთვლი აშკარა ფავორიტად, თუმცა ბევრი სხვანაირად ფიქრობს. ასე მაგალითად, ესპანეთის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ოჩოა შეეკითხა კასპაროვს, შეიძლებოდა თუ არა მისი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ოქტომბრიდან უფრო გვიანდელი დროისათვის გადაეტანათ, რათა შიროვს საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მიეღო მონაწილეობა ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში. კასპაროვმა, როგორც გადმომცეს, ასე უპასუხა: რა საჭიროა ასეთი კითხვის დასმა, შიროვს ხომ კრამნიკის წინააღმდეგ არავითარი შანსი არა აქვს (ე.ი. ოლიმპიადაზე თამაშის მომენტისათვის ხომ თავისუფალი იქნებაო). დეე, ასე იფიქრონ, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა ვარ.

● ***დიდი ხანია კრამნიკს იცნობთ?***

— მას შემდეგ, რაც 1987 წელს დრუსკინინკაეში (ლიტვა) ბოტვინიკ-კასპაროვის სკოლის სესია გაიმართა. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

● ვინც იმ სესიას ესწრებოდა, ამბობდა, რომ მიხეილ ბოტვინიკმა, რომელიც თქვენს თამაშს სწავლობდა, დიდი მომავალი გიწინასწარმეტყველათ. ეს თქვენთვის ცნობილია.

— გულახდილად გეტყვით, არა.

● ***ლონდონში გამოვიდა თქვენი რჩეული პარტიების კრებული, რომლის გარეკანზე მოყვანილია პოზიცია კრამნიკთან, რომელიც თქვენ მოიგეთ, თუმცა ეტლი გაკლდათ.***

— დიახ, წიგნს ჰქვია „ცეცხლი დაფაზე". პოზიციაზე, რომელიც გარეკანზეა ასახული, ფიგურა მაკლია, ამის შემდეგ კი ეტლი შევწირე. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ ჩემი და კრამნიკის პარტიები ყოველთვის მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობს.

● ***თქვენ ფიქრობთ კასპაროვთან მატჩზე, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში თუკი კრამნიკს დაამარცხებთ?***

— თუკი კრამნიკი დავამარცხე, კასპაროვთან მატჩის მოგება ამაზე ძნელი არ უნდა გამოდგეს.

### საჭადრაკო ამოცანა

ა. კალინინი (რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მb4! მფf5 2. მc2 მფe4 3. კg6X.
2. ...მფe6 3. მd4X.
2. ...მფg4 3. მe3X.

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*24 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეოთხე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის ტირაჟში მონაწილეობდა **69627** ვარიანტი, საპრიზო ფონდი შეადგენდა **8.703** ლარს.

მოგებახვედრილი რიცხვები: **11. 13. 21. 27. 28. 39.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი 37.316 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.
5 ციფრი ამოიცნო ორმა მოთამაშემ – თითოეულს შეხვდა 652.70 ლარი.
4 ციფრი ამოიცნო 125-მა მოთამაშემ, თითოეულს – 13.90 ლარი.
3 ციფრი ამოიცნო 1861-მა მოთამაშემ, თითოეულს – 1.60 ლარი.

**„სუპერ-7"**-ის გათამაშებაში მონაწილეობდა **8912** ბილეთი, მომგებიანი ციფრებია: **8 0 3 1 1 1 4**

4 ციფრი დაემთხვა 1 ბილეთში, მოგება – 500 ლარი.
3 ციფრი დაემთხვა 4 ბილეთში, თითოეულს – 50 ლარი.
2 ციფრი – 94 ბილეთში, თითოეულს – 3 ლარი.
1 ციფრი – 803 ბილეთში, თითოეულს – 0.50 ლარი.

ტირაჟის სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:
სამოთახიანი ბინა – ნაზი კაშია (ქუთაისი);
საფრანგეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები საგზური – მამუკა დარჩია (თბილისი);
ტელევიზორი – მამუკა ურჯუკაშვილი (თბილისი);
ველოსიპედი – რეზო კეთილაძე (თბილისი);
სპორტული კომპლექსი „ადიდასი" – თამარ გიგლემიანი (თბილისი);
აუდიო მაგნიტოფონი – ზაზა კუჭაშვილი (საჩხერე);
გათამაშდა აგრეთვე 15 დასახელების ელექტრო და აუდიო-ვიდეო ტექნიკა.

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 31 მაისს, ჯეკ-პოტი **37316** ლარია.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი




**27 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი" (20.20). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (11.50; 21.10). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა*** (11.30; 18.00). ***ОРТ-1.*** ფეხბურთი. პოლონეთი – რუსეთი (21.45).

28 მაისი. ხუთშაბათი

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავი" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***ОРТ-1.*** ჩოგბურთი. „როლან გაროსი" (14.25; 0.45). ***РТР.*** ნბა-ს მიმოხილვა (0.20).

**29 მაისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.15). ***II არხი.*** რაგბი (20.00). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (13.15; 21.10). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** კალათბურთი (11.30). სპორტული გადაცემა (18.30). ***ОРТ-1.*** ჩოგბურთი. „როლან გაროსი" (1.25). ***РТР.*** სპორტი აშშ-ში (9.00). სპორტული დღესასწაული „დინამოზე" 1.25.

## საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია აცხადებს მიღებას 1998-99 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

### I. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

1. დღის სწავლების მწვრთნელთა ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორი) მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ტრადიციული კარატე (შიტორიუ, შიტოკანი, კიოკუშინკაი, ტაიკვანდო, ტოკუკაი, ვადორიუ), ძალოსნობა, კრივი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, სათხილამურო სპორტი, ველოსპორტი, მეკლდეურობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, რაგბი, ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა, მძლეოსნობა, სპ. ტანვარჯიში, მხ. ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, სპორტული ცეკვები.

გამოცდები ჩატარდება სპორტის არჩეულ სახეობაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია" და „ადამიანი და ჯანმრთელობა"), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

2. დღის სწავლების პედაგოგიურ ფაკულტეტზე მიღება იწარმოებს: 1. მასობრივი და გამაჯანსაღებელი სპორტის სპეციალობაზე (ქართული და რუსული სექტორი); 2. დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობა (ქართული სექტორი).

გამოცდები ჩატარდება ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში („ზოგადი ბიოლოგია" და „ადამიანი და ჯანმრთელობა"), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

აკადემიის დღის სწავლების სტუდენტებს (გარდა დაწყებითი სამხედრო მომზადების სპეციალობისა) საშუალება მიეცემათ ერთდროულად მიიღონ მეორე (პარალელური) განათლება ერთ-ერთ ჩამოთვლილ სპეციალობაში:

1. „სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია"
2. „სპორტული ჟურნალისტიკა"
3. „სპორტის ფსიქოლოგია"
4. „აქტიური დასვენებისა და ტურიზმის მენეჯერი".
5. „სპორტული ბიზნესის მენეჯერი".

მეორე სპეციალობაზე სწავლა ნაწილობრივ ფასიანია და ჩარიცხვა მოხდება 15 სექტემბრამდე სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ.

აკადემიის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან ერთ-ერთ მეორე (პარალელურ) სპეციალობას, მიენიჭებათ სათანადო კვალიფიკაცია.

საბუთების მიღება იწარმოებს: 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე.

მისაღები გამოცდები – 23 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

**ფ ა ს ი ა ნ ი   ს წ ა ვ ლ ე ბ ა**

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში:

1. დღის სწავლების ყველა სპეციალობაზე იწარმოებს მიღება ფასიან სექტორზე.

ფასიან სექტორზე შემსვლელი აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ ტესტირებულ გამოცდას ფიზიკურ მომზადებაში.

ფასიან სექტორზე უკონკურსოდ ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, რომლებმაც უფასო სექტორზე მიიღეს დადებითი შეფასება და ვერ ჩაირიცხნენ.

დღის განყოფილების ფასიან სექტორზე მიღება იწარმოებს აგრეთვე სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე (გამოცდები ჩატარდება ბიოლოგიაში და ფიზიკურ მომზადებაში).

აკადემიის დაუსწრებელ ფაკულტეტზე მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე (ქართული სექტორი):

1. მწვრთნელი, 2. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, 3. ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი, 4. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტი.

ფასიან სექტორზე განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 15 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10.00-დან 16.00 საათამდე.

ტესტირებული გამოცდა ჩატარდება 17-18 აგვისტოს.

ფასიან სექტორზე ჩარიცხვა მოხდება მათ მიერ პირველი წლის სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ არაუგვიანეს 26 აგვისტოსი.

სწავლების ყველა ფორმაზე მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის აბიტურიენტი იხდის 7 ლარს. აბიტურიენტს აღნიშნული თანხა არ უბრუნდება.

ღია კარის დღე ჩატარდება 5 და 12 ივლისს, 12.00 საათზე.

### II. ივ. ბერიტაშვილის სახ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი «მედიკორი».

მიღება იწარმოებს დღის სწავლების სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლის ხანგრძლივობა 6 წელია. მისაღები გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი – 11-16 ივლისს, მეორე – 20-25 აგვისტოს შემდეგ საგნებში:

1. ბიოლოგია („ზოგადი ბიოლოგია", „ადამიანი და ჯანმრთელობა") ზეპირი;

2. ქიმია – ზეპირი. ფრიადოსნები და სამედიცინო კოლეჯდამთავრებულები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (კვირის გარდა) 25 ივნისიდან 20 აგვისტომდე, 10-დან 16 საათამდე. სწავლის ქირის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

„ღია კარის" დღე გაიმართება 10 ივლისსა და 19 აგვისტოს, დღის 12.00 საათზე, აკადემიის შენობაში, III სართულზე, ფიზიოლოგიის კათედრაზე.

### III. სტომატოლოგიურ ინსტიტუტში

მიღება იწარმოებს დღის განყოფილებაზე 1998-99 სასწავლო წლისათვის.

საბუთები მიიღება 20 ივნისიდან ყოველდღე (გარდა კვირისა) 10.00-დან 16.00 საათამდე.

გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად – პირველი ეტაპი – 20-დან 25 ივლისამდე, მეორე ეტაპი – 14-დან 20 აგვისტომდე.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (ტესტური გამოცდა), ქიმია (ტესტური გამოცდა). ფრიადოსნები, რომლებიც გაივლიან გასაუბრებას, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

**სტომატოლოგიურ ინსტიტუტთან არსებობს** ორწლიანი კოლეჯი, რომელშიც საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან.

კოლეჯში მიიღებიან 9 კლასის კურსდამთავრებულები.

კურსდამთავრებულები მიიღებენ კბილის ტექნიკოსის დიპლომს.

გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად – პირველი ეტაპი – 10 ივლისიდან 15 ივლისამდე, მეორე ეტაპი – 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

აბიტურიენტები აბარებენ გამოცდებს: ბიოლოგიაში (ტესტური გამოცდა); ქიმიაში (ტესტური გამოცდა).

კოლეჯის წარჩინებით კურსდამთავრებული უგამოცდოდ ჩაირიცხება ინსტიტუტში.

კოლეჯში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, არასრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №086), 6 ფოტოსურათი (3X4).

ღია კარის დღე ჩატარდება 5 ივლისს 12 საათზე აკადემიის სააქტო დარბაზში.

ჩვენი ტელეფონებია: 29-37-61, 29-37-89, 23-07-66

### IV. უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტში

მიღება იწარმოებს დღის სწავლების ქართულ და რუსულ სექტორზე. დასავლეთ ენებისა და ლიტერატურის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური) სპეციალობით. მესამე კურსიდან მეორე სპეციალობა – საერთაშორისო სპორტული ჟურნალისტიკა ან ერთ-ერთი უცხო ენა.

საბუთების მიღება იწარმოებს 1998 წლის 20 ივნისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, 11 საათიდან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 4 აგვისტოდან სპეციალობაში ტესტირების სახით, ჩარიცხვისას მხედველობაში იქნება მიღებული ატესტატის ნიშანი ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში.

ტელ: 29-39-60
29-37-61

აკადემიაში სწავლების ყველა ფორმაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად.

აბიტურიენტმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინოს: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4). პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს წარმოადგენენ პირადად.

ყველა აბიტურიენტი ვალდებულია სამედიცინო ფორმა №086-ის მისაღებად სამედიცინო შემოწმება გაიაროს აკადემიაში.

ფიზიკური აღზრდის აკადემიის მწვრთნელთა ფაკულტეტზე შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს სპორტული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი სპორტის არჩეულ სახეობაში.

აკადემიაში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა და სტუდენტი, რომელიც აღნიშნულ კათედრაზე გაივლის სამხედრო მომზადების კურსს, მიიღებს ოფიცრის წოდებას.

აკადემიაში არსებობს ასპირანტურა.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49.
ტელ. 29-37-62, 23-03-75.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი